ეროვნული ბიბლიოთეკა


# საქართველოს რესპუბლიკა

საკვირაო გამოშვება

კვირა, 11 მაისი, 1997 წელი. №107 (2480)

გამოდის 1990 წლის დეკემბრიდან. ფასი 40 თეთრი. თბილისის გარეთ 45 თეთრი.



**არა, პირადი მტრობა არ ყოფილა...**

ჩვენი უახლოესი წარსულის ერთი ფურცელი (იხილეთ გვ-4 — 9 გვ.).


## ეროვნული უშიშროების საბჭოს სხდომა

10 მაისს საქართველოს პრეზიდენტის ედუარდ შევარდნაძის თავმჯდომარეობით გაიმართა ეროვნული უშიშროების საბჭოს სხდომა.

საბჭოს წევრებმა მოისმინეს თავდაცვის მინისტრის ვარდიკო ნადიბაიძის ინფორმაცია მოსკოვში რუსეთის ფედერაციის თავდაცვის სამინისტროს ხელმძღვანელებთან, პრემიერ-მინისტრ ვიქტორ ჩერნომირდინთან და საგარეო საქმეთა მინისტრ ევგენი პრიმაკოვთან დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის ქვეყნების სამიტის მიერ განსაზღვრული აფხაზეთში სამშვიდობო ძალების ახალ ფუნქციებთან დაკავშირებით გამართული მოლაპარაკებების თაობაზე.

სხდომაზე განიხილეს საკითხი „საქართველოს რაიონის (ქალაქის) სასამართლოების, თბილისის საქალაქო სასამართლოს, აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სასამართლოების მოსამართლეთა შრომის ანაზღაურების მოწესრიგების შესახებ“.

გაიმართა მსჯელობა ეროვნული უშიშროების საბჭოს 1997 წლის 1 მარტის სხდომაზე „საქართველოს საავიაციო პარკის მდგომარეობის, მისი გამოყენების პერსპექტივისა და ავიაკომპანიების ფუნქციონირების უზრუნველყოფის გზების შესახებ“ საკითხის განხილვისას დასახული ამოცანების შესრულების მიმდინარეობის თაობაზე.

საბჭოს წევრებმა ასევე განიხილეს საკითხები ქუთაისის საავიაციო-სარემონტო ქარხნის აქციონირების და ეროვნული უშიშროების საბჭოს აპარატის ადამიანის უფლებათა დაცვის საკითხთა განყოფილების დებულების შესახებ.

სხდომა დახურულ კარს მიღმა მიმდინარეობდა.

საქართველოს პრეზიდენტის პრესსამსახური-საინფორმო.

## პრეზიდენტი შეხვდა, ესაუბრა

### მადლობა შემოქმედებითი შრომისათვის

10 მაისს საქართველოს პრეზიდენტმა ედუარდ შევარდნაძემ მიიღო კინოსტუდია „ადამ და ევას“ სამხატვრო ხელმძღვანელები თემურ ბაბლუანი, ბუბა ხოტივარი, ფილმ „შეყვარებული მზარეულის ათასერთი რეცეპტის“ დამდგმელი რეჟისორი ნანა ჯორჯაძე და ფილმის სცენარის ავტორი, კინორეჟისორი თემურ კვირიკაძე. როგორც ცნობილია, საქართველო-საფრანგეთის ეს ერთობლივი ნამუშევარი 1996 წელს წარდგენილი იყო ამერიკის შეერთებული შტატების კინოაკადემიის პრიზის — „ოსკარის“ მოსაპოვებლად.

კინოხელოვანებმა პრეზიდენტს მადლობა გადაუხადეს თანადგომისა და მხარდაჭერისათვის, ესაუბრნენ „ოსკარის“ ცერემონიისა და აშშ-ში ქართული ფილმის რეტროსპექტივის მიმდინარეობაზე. კინოსტუდიის ახალ სამუშაო პროექტებზე, მათ შორის, ქართულ-ამერიკული ერთობლივი ფილმის გადაღების პერსპექტივაზე.

ედუარდ შევარდნაძემ კმაყოფილებით აღნიშნა ქართველ კინოხელოვანთა წარმატება, მადლობა გადაუხადა ქართული კინოსა და კულტურის ღირსეული პოპულარიზაციისათვის და სტუდიის შემოქმედებით კოლექტივს ახალი გამარჯვებები უსურვა.

### ინტეგრაციის განვითარებისათვის

10 მაისს საქართველოს პრეზიდენტმა ედუარდ შევარდნაძემ მიიღო საქართველოს პარლამენტის ევროკავშირთან ურთიერთობის მუდმივი საპარლამენტო დელეგაციის წევრები პარლამენტის თავმჯდომარის მოადგილის გიორგი კობახიძის ხელმძღვანელობით.

შეხვედრაზე იმსჯელეს სტრასბურგში დელეგაციის მომავალ ვიზიტთან დაკავშირებულ საკითხებზე, აგრეთვე, ჩვენი ქვეყნის ევროპულ სტრუქტურებთან ინტეგრაციის განვითარების ძირითად მიმართულებებზე.

საქართველოს პრეზიდენტის პრესსამსახური-საინფორმო.

## პარალელური სამყარო

# „ფუტკარი, როგორც აფთიაქარი“...

აზრი ცხოვრებისა და არსობისა.

აზრი — შედეგი, ფასეულობა დღევანდელი და ხვალინდელი დღისა. იქნებ პორიზონტიც?..

ადამიანი გაჩენის დღიდან ცდილობს ჩასწვდეს თავისი ყოფის აზრს. ფუტკარი — ინსტიქტით მოქმედებს. ამას უმაღლესი შეფასება მივეცით — ფუტკარივით მშრომელი. ყველაფერს, რასაც ეს მწერი აკეთებს — აზრი აქვს, მიზანი. დროს არ კარგავს, არ ეძებს, უბრალოდ — მისკენ მიისწრაფვის.

ამბობენ, ყველაზე ღალიანი ფუტკარი იმ მეფუტკრეს ჰყავს, ვინც სკაში დამყარებულ წესრიგს კი არ არღვევს, პირიქით — ემორჩილება და ხელს უწყობსო.

სკაში დედა ფუტკრის ირგვლივ ათასობით მშრომელია. თითოეული ოჯახი ერთიანი, ცოცხალი ორგანიზმია. მეფუტკრე, — საუკეთესო ზრახვებითაც კი, — უვიცად რომ ჩაერიოს მის საქმიანობაში, დანესტრავენ.

იქნებ ჩვენ — ადამიანებსაც გვესწავლა მათგან და გავერთიანებულიყავით?

ფუტკრებთან ურთიერთობა ყველაზე მეტად პედანტებს უჭირთ, რომლებმაც მხოლოდ წაკითხულით იციან სკის ურთულესი და იდუმალი სამყარო.

მაშ, როგორ უნდა მოვიქცეთ, რა არის საჭირო უპირველესად?

გამოცდილება, ინტუიცია და — კეთილშობილება.

დაობენ, როგორი პატრონი მოსწონთ ფუტკრებს და როგორს ვერ ჰგუობენ.

სკა ფორიაქდება, როცა გრძნობს მეფუტკრის აგრესიულობას, გაღიზიანებას, ნერვიულობას, და არც ენდობა, ამ დროს თავადაც აგრესიული ხდება.

საზოგადოებაც ასეა: გავიხსენოთ საქართველოს უახლესი ისტორია.

დედა ფუტკარი, ანუ დედოფალი, დაახლოებით ხუთ წელიწადს ცოცხლობს (მუშა ფუტკარი — რამდენიმე კვირას) თითოეულ სკაში სეზონის განმავლობაში ოჯახი ერთორს კიდევ ამზადებს სადედოფლოდ. თუ მეფუტკრე უყურადღებობას გამოიჩენს, ოჯახი ნაადრევად გაიყოფა და... სუსტდება.

ისეც ხდება, რომ სკაში ორი დედოფალი იბრძვის. იმარჯვებს ძლიერი და დამარცხებულს სკიდან აძევებს.

ასეთია ბუნების კანონი.

მაგრამ გაძევებული დედოფალი არასოდეს კვდება მარტოობაში. მას რიტუალური, სევდიანი ცეკვით აცილებენ და თავს დასტრიალებენ, სანამ აღესრულება. ფუტკრები ღირსეულად იქცევიან...

მოდით, სურვილი ჩავიფიქროთ...

სკამ თავისი ცხოვრებით, თავისი წესით იცხოვროს, მუდამ ბიბინებდეს ფუტკრებისთვის ყვავილებით მოჩითული ველი. ჩვენ, ადამიანებმა ადამიანების წესით ვიცხოვროთ და... ვისწავლოთ ბუნებისაგან თანადგომა, გატანა და — ბრძოლაც.

მეფუტკრის ცხოვრება კი აზრით უნდა იყოს გასხივოსნებული, და — კეთილშობილებით.

მიმოვიხედოთ.

**ბონდო მძინარაშვილი.**



*მეფუტკრეობა პრაქტიკული საქმეა.*

ხვალ საქართველოს პარლამენტის აგრარულ საკითხთა კომიტეტის აგრარული რეფორმების ქვეკომიტეტში იმსჯელებენ მეფუტკრეობის შესახებ.

დღეს, ჩვენი გაზეთის მე-2 გვერდზე ვაქვეყნებთ მეფუტკრეობის სანაშენე-საწარმოო ცენტრის დირექტორის ჯემალ ჯავახიშვილის წერილს ამ დარგის აღორძინების აუცილებლობის თაობაზე.

## უკანასკნელ საათს

თეირანი. ძალზე ძლიერი მიწისძვრა მოხდა გუშინ ირანის ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაწილში. მიწისძვრამ ბიძგს მოჰყვა ნგრევა და მსხვერპლი. 22 საათისათვის არსებული მონაცემებით, დაიღუპა 800 კაცი.

დუშანბე. ირანის პრეზიდენტი რაფსანჯანი 10 მაისს იმყოფებოდა ტაჯიკეთის დედაქალაქში, სადაც ამ ქვეყნის პრეზიდენტთან რახმონოვთან ერთად ხელი მოაწერა დეკლარაციას თანამშრომლობის შემდგომი გაფართოების შესახებ. მოგვიანებით მათ შეუერთდა ავღანეთის ყოფილი პრეზიდენტი რაბანიც.

ალმა-ათა. ყაზახეთის დედაქალაქს გუშინ ხანმოკლე ვიზიტად ეწვია გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის კანცლერი ჰელმუტ კოლი. იგი შეხვდა ქვეყნის პრეზიდენტს ნურსულთან ნაზარბაევს. საუბარი შეეხო ყაზახეთ-რუსეთის ურთიერთობას, აგრეთვე ნაზარბაევის მომავალ ვიზიტს ბონში.

ლიმა. პერუს დედაქალაქს ვიზიტად ეწვია იაპონიის პრემიერ-მინისტრი ხასიმოტო. მან ამომავალი მზის ქვეყნის უმაღლესი მხედრული ჯილდოები ჩამოუტანა პოლიციელებს, რომლებმაც ყველაზე მეტად გამოიჩინეს თავი იაპონელი მძევლების ამასწინანდელი განთავისუფლების ოპერაციაში.

ხოპარბალა. ჩეჩნეთის პირველ ვიცე-პრემიერთან გუშინდელი შეხვედრის შემდეგ საველე მეთაურმა სალმან რადუევმა განაცხადა, რომ ქვეყანაში სტაბილურობის შენარჩუნების ინტერესებისათვის წყვეტს ანტირუსულ გამოსვლებს, თუმცა დარწმუნებულია, რომ თუ „რუსეთზე ზეწოლა არ მოახდინე, მისგან ვერაფერს ვერ მიაღწევ“.

საქართველოს რესპუბლიკა
№107, კვირა, 11 მაისი, 1997 წელი.

## დანიშვნა

### საქართველოს პრეზიდენტის
### ბრძანებულება

1997 წლის 10 მაისი — ქ. თბილისი

ე. საბანაძის საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილედ დანიშვნის შესახებ

დაინიშნოს **ემზარ საბანაძე** საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილედ.

**ე. შევარდნაძე.**

### საქართველოს პრეზიდენტის
### ბრძანებულება

1997 წლის 10 მაისი — ქ. თბილისი

თ. მურღულიას საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილედ დანიშვნის შესახებ

დაინიშნოს **თემურ მურღულია** საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილედ.

**ე. შევარდნაძე.**

### საქართველოს პრეზიდენტის
### ბრძანებულება

1997 წლის 10 მაისი — ქ. თბილისი

დ. მიქაძის საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილედ დანიშვნის შესახებ

დაინიშნოს **დემურ მიქაძე** საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილედ.

**ე. შევარდნაძე.**

### საქართველოს პრეზიდენტის
### ბრძანებულება

1997 წლის 10 მაისი — ქ. თბილისი

გ. ჩეჩელაშვილის საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილედ დანიშვნის შესახებ

დაინიშნოს **გიორგი ჩეჩელაშვილი** საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილედ.

**ე. შევარდნაძე.**

## ინფორმაცია

### შპაკილა გვაკლდა

საჰაერო-სადესანტო ჯარების მთავარსარდალმა გიორგი შპაკმა განაცხადა, რომ აფხაზეთის კონფლიქტის ზონიდან სამშვიდობო ძალების გაყვანას მოყვება ომის განახლება საქართველოსა და აფხაზეთს შორის. მისივე თქმით, ამჟამად აფხაზეთში 1500 რუსი მედესანტე იმყოფება.

### მოკლე როქი

„იბერიის" ცნობით სოხუმში განიხილავენ ე. წ. საგარეო საქმეთა მინისტრის კონსტანტინე ოზგანის ნაცვლად „აიდგილარას" ყოფილი ხელმძღვანელის სერგეი შამბას დანიშვნის საკითხს. შამბა უაღრესად ანტიქართულადაა განწყობილი.

### იქნებ ასეც მოხდეს

15-16 მაისს თბილისს ეწვევა რუსეთის თავდაცვის სამინისტროს ჯგუფი, რომელიც საბოლოოდ შეათანხმებს აფხაზეთის კონფლიქტის ზონაში დისლოცირებული სამშვიდობო ძალების მანდატის გაფართოებისა და მათი დისლოკაციის ადგილის შეცვლის გეგმებს. ვარდიკო ნადიბაიძის თქმით, აღნიშნული გეგმა განხორციელდება, მიუხედავად იმისა, დაეთანხმება თუ არა მას აფხაზური მხარე.

### ბორის ელცინი ცდილობს

რუსეთის პრეზიდენტმა ბორის ელცინმა სახელმწიფო სათათბიროში დასამტკიცებლად შეიტანა ხელშეკრულების პროექტი „საქართველოსა და რუსეთს შორის მეგობრობისა და თანამშრომლობის შესახებ", რომელსაც საქართველოსა და რუსეთის პრეზიდენტებმა ხელი მოაწერეს 1994 წლის 3 თებერვალს ქალაქ თბილისში. დამკვირვებლები თვლიან, რომ ამით რუსეთის პრეზიდენტი ცდილობს ბოლო დროს საქართველოსა და რუსეთს შორის აფხაზეთის საკითხთან არსებული დაძაბულობა შეარბილოს, – იტყობინება „იბერია".

### ტყე იწვის

9 მაისს ოზურგეთის რაიონის სოფელ ცხემლისხიდის ტერიტორიაზე გაშენებულ ტყის მასივში 7 კილომეტრის რადიუსზე გაჩნდა ხანძარი.

გუშინ ცეცხლი სოფელ შემოქმედის ტყის ფართობების რამდენიმე მონაკვეთსაც მოედო. ტყის ფართობებში სახანძრო ტექნიკა ვერ შედის, ადგილობრივი პოლიციის ძალები და მოსახლეობა მთლიანადაა მობილიზებული ხანძრის სალიკვიდაციოდ.

დგინდება ხანძრის გამომწვევი მიზეზები.

### 450 პატიმარი შეწყალებას ელის

ამჟამად, საქართველოს ციხეებში 450 ადამიანი იხდის სასჯელს შემთხვევით მკვლელობისათვის. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროში შესწავლის პროცესშია საკითხი ამ ადამიანთა შეწყალების შესახებ.

ინფორმაციები მოგვაწოდეს: „მოამბე-ექსპრესმა", „იბერიამ".

## მეფუტკრეობა

# პასს - თაფლი, ღმერთს - სანთელი

მეფუტკრეობის აღორძინება ჩვენ გვესახება როგორც აუცილებელი, გადაუდებელი ღონისძიება ქვეყნის აღმშენებლობის საქმეში. ასეთი გაბედული განცხადების უფლებას თვითონ ქართული მთის რუხი ფუტკარი გვაძლევს, რომელიც თავისი უნიკალური თვისებებით ერთ-ერთი საუკეთესოა მსოფლიოში. ქართული ფუტკრის განსაკუთრებული თვისებები დარგის სპეციალისტების ყურადღების მიღმა არ დარჩენილა: მსოფლიოს 40-ზე მეტ ქვეყანაში საქართველოდან იგზავნებოდა დედა ფუტკარი და ამანათნაყარი, როგორც სანაშენე მასალა ხალხსი ჯიშის მოსაშენებლად და ადგილობრივი ჯიშის გასაუმჯობესებლად.

ქართული ფუტკარი ჩვენი ქვეყნისათვის ღვთისაგან ნაბოძები მადლია და მას განსაკუთრებული გაფრთხილება სჭირდება.

ბოლო ხანს ქვეყანაში მიღწეული ხტაბილური მდგომარეობა ხელსაყრელ პირობებს გვიქმნის მეფუტკრეობის დარგის აღორძინებისათვის. უკვე სახეზეა პირველი შედეგებიც: საბოლოოდ ხვეწენ და წარუდგენენ პარლამენტს განსახილველად კანონს მეფუტკრეობის შესახებ, რომლის მიღებაც უაღრესად დადებით როლს შეასრულებს დარგის აღორძინების საქმეში; უკანასკნელი წლების მანძილზე პირველად აღინიშნა ფუტკართა ოჯახების რაოდენობის ზრდა (1995 წ. ირიცხებოდა 35,2 ათასი ოჯახი, 1996 წ. კი 54,5 – ათასი), გაფორმდა განზრახულობათა ოქმი ფრანგ მეფუტკრეებთან, რომლის საფუძველზეც პირველი საცდელი პარტია (350 დედა ფუტკარი) გაიყიდება საფრანგეთში; მონაწილეობა მივიღეთ საფრანგეთის ქალაქ დიჟონში გამართულ გამოფენა-ვაჭრობაში; პირველი პარტია – ერთ ტონამდე თაფლი რეალიზებულია საზღვარგარეთ.

თუ პარალელს გავავლებთ მეფუტკრეობის დარგისათვის საუკეთესო წლებთან, როცა საქართველოში ირიცხებოდა 200 ათასზე მეტი ოჯახი და იწარმოებოდა 2 ათასი ტონა თაფლი, დღევანდელი სურათი საგანგაშოა, რადგანაც ყოველწლიურად იკარგება დაახლოებით 1,5 ათასი ტონა თაფლი ოჯახების სიმცირის გამო. აუცილებელია უახლოეს წლებში ოჯახების რაოდენობა გავზარდოთ სულ ცოტა 3-ჯერ. ეს კი შეუძლებელია განხორციელდეს სათანადო ბაზის (იგულისხმება ამანათნაყრები, დედა ფუტკრები, სკები და სხვა აუცილებელი ინვენტარი) გარეშე.

ადრე მეფუტკრეობისათვის საჭირო ინვენტარის დიდი რაოდენობა რუსეთიდან შემოდიოდა (საკმაოდ დაბალ ფასებში), ასევე მთელი სიმძლავრით მუშაობდა ჩვენთან არსებული ინვენტარის საწარმოო საამქროები და ყოველწლიურად მეფუტკრეობის დარგს მიეწოდებოდა 20-25 ათასი სკა და სხვა აუცილებელი ინვენტარი.

ყველასათვის კარგად არის ცნობილი, რომ მზა პროდუქციის შემოტანა საზღვარგარეთის ქვეყნებიდან ჩვენთვის ეკონომიურად წამგებიანია. აქედან გამომდინარე, მეფუტკრეობის დარგისათვის აუცილებელი ინვენტარის დიდი რაოდენობა (80 პროცენტზე მეტი) ადგილზე უნდა დავამზადოთ. ამის საშუალება საქართველოში არის. მარტო მეფუტკრეობის სანაშენე-საწარმოო ცენტრში არსებული საწარმოო სიმძლავრეები საშუალებას გვაძლევს წელიწადში დავამუშაოთ 2000 კუბ.მ. სამასალე მერქანი და დავამზადოთ 10 ათასი სკა სრული კომპლექტაციით. თუ ჩვენს ნათქვამს ასრულება უწერია, შედეგი მეტად მნიშვნელოვანი იქნება. მტკიცე ბაზაზე აღორძინდება დარგი, დასაქმდება მუშახელი, შეივსება სახელმწიფო ბიუჯეტი. ჩვენ დიდი იმედი გვაქვს, რომ სოფლის მეურნეობისა და სურსათის სამინისტრო მეცხოველეობის სანაშენე საქმის დეპარტამენტი ყველაფერს იღონებენ იმისათვის, რათა გამოინახოს საშუალება, რომ მეფუტკრეობისათვის საჭირო ინვენტარის წარმოება მომარაგდეს აუცილებელი ნედლეულით.

დარგის განვითარებისათვის მნიშვნელოვან როლს ასრულებს კადრებით უზრუნველყოფის პრობლემა. იმისათვის, რომ ჩვენმა მომავალმა თაობებმა შეიყვარონ ეს უნიკალური მწერი, სასურველია ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში შრომის გაკვეთილებზე ისწავლებოდეს მეფუტკრეობა, ამისათვის კი საჭიროა პედაგოგების გადამზადება და აუცილებელი ბაზის შექმნა. აქვე მინდა აღვნიშნო, მოყვარულ მეფუტკრეთა საზოგადოებაში მუდმივმოქმედი კურსების უაღრესად დადებითი როლი კადრების მომზადების საქმეში.

ფუტკარი ინტელექტუალურ შრომას მოითხოვს. საქართველო კი, საბედნიეროდ, ინტელექტუალებით მდიდარი ქვეყანაა. ამჟამად ქვეყანაში შექმნილი ვითარების გამო უამრავი ხალხია, ვისაც მეტად წაადგება ფუტკრის მოშენება. ჩვენ მხედველობაში გვყავს მეცნიერებისა და ხელოვნების წარმომადგენლები, პედაგოგები, პენსიონერები და სხვები, რომლებიც ადვილად შეძლებენ ფუტკრის მოვლის ხელოვნების დაუფლებას და თუ ჩვენ შევძლებთ იაფად მივაწოდოთ ამანათნაყრები, სკები და სხვა ინვენტარი, შედეგი არ დააყოვნებს. გაუმჯობესდება მათი მატერიალური მდგომარეობა.

აქვე მინდა მკითხველს ვაუწყო, რომ ვისაც აქვს სურვილი შეიძინოს ფუტკრის ამანათნაყარი, დედა ფუტკარი, სკა და სხვა, შეუძლია მოგვმართონ დაბა ზაჰესში მეფუტკრეობის სანაშენე-საწარმოო ცენტრში.

იმისათვის, რომ დარგი მასობრივი გავხადოთ, სასურველია ცალკეული რეგიონებისა და რაიონებისათვის დამუშავდეს მეფუტკრეობის დარგის განვითარების მეცნიერულად დასაბუთებული კონცეფციები. ამ მხრივ მისაბაძია მცხეთა-მთიანეთის მხარე, სადაც რეგიონის ხელმძღვანელობის ინიციატივით მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადაიდგა.

მეფუტკრეობის პროდუქტების რეალიზაციის პროგრამის შესახებ. ამჟამად ეს საკითხი წინა პლანზე დგება იმიტომ, რომ იქმნება ისეთი შთაბეჭდილება, თითქოს თაფლი ბევრია და ვერ საღდება, სინამდვილეში კი ეს მოსახლეობის დიდი უმრავლესობის დუხჭირი ცხოვრების გამო ხდება. ამჟამად წელიწადში ერთ სულ მოსახლეზე საქართველოში დაახლოებით 0,1 კგ თაფლი იწარმოება, რაც, რა თქმა უნდა, მეტად მცირეა. ცხოვრების დონის გაუმჯობესებასთან ერთად მოთხოვნილება გაიზრდება და ამას დარგის განვითარებაც არ უნდა ჩამორჩეს. მეფუტკრეობის პროდუქტები შეგვიძლია გავიტანოთ მსოფლიო ბაზარზეც, თუ მოვახდენთ თანამედროვე მოთხოვნილების შესაბამისად დაფასოებასა და ეტიკეტირებას.

გარდა თაფლისა, ფუტკარი გვაძლევს უაღრესად ძვირფას პროდუქტებს: მხამს, დინდგელს, ყვავილის მტვერს, რძეს და სხვა. დარგისა და ქვეყნის ინტერესებიდან გამომდინარე, სასურველია მათი რეალიზაცია ხდებოდეს არა მარტო როგორც ნედლეულის – არამედ მათგან მიღებული მზა სამკურნალო პროდუქციის სახით. ამისათვის კი გარკვეული ღონისძიებები უნდა გაატარონ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტრომ და ფარმაცევტულმა წარმოებებმა.

უკანასკნელ პერიოდში დაფიქსირებულია ფალსიფიცირებული მედიკამენტებისა და არაკეთილსაიმედო ხელოვნური ფიჭის რეალიზაციის ფაქტები, ეს კი დამღუპველად მოქმედებს მეფუტკრეობის დარგის განვითარებაზე. აქედან გამომდინარე, სასწრაფოდ უნდა შემუშავდეს კონტროლის მექანიზმი მსგავსი შემთხვევების აღსაკვეთად.

მეფუტკრეობის დარგის განვითარებისათვის დიდი მნიშვნელობა ენიჭება თაფლოვანი მცენარეების ხელოვნურად გაშენებას, განსაკუთრებით მეწყერსაშიშ და ეროზირებულ ნიადაგებზე. ეს ორმხრივ სასარგებლო შედეგს მოგვცემს: დავიცავთ ნიადაგს და გავზრდით ლალიანობას.

ბოლოს მინდა შევეხო რეკლამისა და ინფორმაციული ვაკუუმის პრობლემას. ვიმედოვნებ, რომ ამ თვალსაზრისით პრესა, რადიო, ტელევიზია თავიანთ მნიშვნელოვან წვლილს შეიტანენ მეფუტკრეობის დარგის აღორძინების საშვილიშვილო საქმეში.

**ჯემალ ჯავახიშვილი,**
მეფუტკრეობის სანაშენე-საწარმოო ცენტრის დირექტორი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## სეზონის წინ

# კურორტები გვაქვს... როდის გვექნება კურორტები?

— ამ კითხვით მივმართე კონცერნ „საქკურორტის“ პრეზიდენტს ზეზვა ღუღუნიშვილს, რომელიც უკანასკნელი თოთხმეტი წელია კურორტების მართვის საქმეს ემსახურება. ამავე დროს იგი არის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საკურორტო და ტურისტული მეურნეობის მართვის კათედრის გამგე, პროფესორი, საქართველოს ბიზნესის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი.

— სანამ კითხვაზე გიპასუხებდეთ, მინდა მოგახსენოთ, რომ ჩვენს დარგში მნიშვნელოვანი მოვლენა მოხდა — საქართველოს პარლამენტმა მიიღო კანონი ტურიზმისა და კურორტების შესახებ, რომელიც პირველია ქვეყნის ისტორიაში. მასში ნათქვამია: „სახელმწიფო აღიარებს ტურიზმისა და კურორტების დარგს ეროვნული კულტურისა და ეკონომიკის განვითარების ერთ-ერთ პრიორიტეტულ მიმართულებად და ქმნის ხელსაყრელ პირობებს ტურისტული და საკურორტო საქმიანობისათვის“. ამ ფაქტმა ბოლო მოუღო ჩვენს დარგში საკანონმდებლო ვაკუუმს და საფუძველი ჩაუყარა საკანონმდებლო საქმიანობას, რომელიც უთუოდ ხელს შეუწყობს დარგის სწორ და ცივილიზებულ განვითარებას.

ამასთანავე საქართველოს უმაღლესმა აღმასრულებელმა ხელისუფლებამ მიიღო გადაწყვეტილება დარგის მართვის ერთიანი ორგანოს — „საქართველოს ტურიზმისა და კურორტების სახელმწიფო დეპარტამენტის „შექმნის შესახებ, რომელიც საქართველოს პარლამენტმა დაამტკიცა. ეს უდიდესი საქმეა. იქმნება სახელმწიფო ორგანიზაცია, რომელმაც სახელმწიფო პოზიციიდან უნდა განსაზღვროს კურორტებისა და ტურიზმის განვითარება, მოაწესრიგოს სხვა უწყებების, აგრეთვე, ფიზიკური და იურიდიული პირების საქმიანობა, განსაზღვროს, როგორ იმუშაონ ამ ორგანიზაციებმა და რა ურთიერთობები ჰქონდეთ დეპარტამენტთან. ამასწინათ გამართულ ეკონომიკური საბჭოს სხდომაზე, სადაც განიხილებოდა ჩემი მოხსენება — „საკურორტო სისტემა და მისი ეკონომიკური ეფექტიანობის პროგნოზები“, საქართველოს პრეზიდენტმა ედუარდ შევარდნაძემ ბრძანა: ერთმანეთის დარწმუნებისაგან, რომ ტურიზმი კარგი საქმეა, უნდა გადავიდეთ რეალურ საქმიანობაზე. დეპარტამენტი, — აღნიშნა მან, — რომელიც სულ მალე გამსხვილებული დეპარტამენტი იქნება, უნდა იყოს პირველი ორგანიზატორი და პირველი ინიციატორი ყველა რეგიონსა და ყველა რაიონში სათანადო სტრუქტურების შექმნისა, რაც მაგალითი და სასწავლებელი გახდება სხვებისათვის.

***— ბატონო ზეზვა, თქვენ ადრე ადგილობრივი კურორტების სამმართველოს „საქკურორტს“ ხელმძღვანელობდით, კონცერნად როდისღა გარდაიქმენით?***

— საქართველოში საკურორტო საქმის მოწესრიგების, მისი ქვეყნის ინტერესებისათვის მაქსიმალურად დაქვემდებარების მიზნით, რესპუბლიკის მაშინდელი ხელმძღვანელობის, პირადად ბატონ ედუარდ შევარდნაძის თაოსნობით 1983 წელს შეიქმნა ადგილობრივი კურორტების სამმართველო — „საქკურორტი“, მის ძირითად საქმიანობად განისაზღვრა — რესპუბლიკის კურორტთა მართვის ეროვნული მოდელის შემუშავება და ეფექტიანად გამოყენება.

1983 წლიდან 1990 წლამდე აშენდა მრავალი ახალი დასასვენებელი სახლი, სანატორიუმი. განხორციელდა გუდაურის სასტუმროს მშენებლობა. ყოფილ საბჭოთა კავშირში პირველად ჩვენ უცხოელებთან ერთად შევქმენით ერთობლივი საწარმო „გუდაური“, რომელმაც ხელი შეუწყო საქართველოში მომსახურებისა და კურორტების მართვის ევროპული სტანდარტების დანერგვას. ჩამოყალიბდა ორგანიზაციული სტრუქტურები (კურორტთა დირექციები), რომლებიც მათი კომპეტენციის ფარგლებში შემავალი ადგილობრივი მნიშვნელობის კურორტების საქმიანობას უწევდა კოორდინაციას.

1990 წელს უკვე კონცერნად გარდავიქმენით, მაგრამ სამწუხაროდ, უკანასკნელ წლებში საქართველოში შექმნილმა მდგომარეობამ, შეაჩერა ჩვენს მიერ წამოწყებული სამუშაოები.

თქვენ საუბრის დასაწყისში მკითხეთ: როგორია ამჟამად საქართველოში კურორტების საერთო მდგომარეობაო.

1991 წლიდან ქვეყნის საკურორტო და ტურისტული მეურნეობა განადგურდა და, ფაქტობრივად, შეწყვიტა ფუნქციონირება. სანატორიუმების, დასასვენებელი სახლებისა და ტურისტული ბაზების უმრავლესობა დღეს ლტოლვილების საცხოვრებლად არის გამოყენებული. მთლიანად დაინგრა კურორტები ლებარდე და სქური. შეწყდა გეგმების მიხედვით დაწყებული სამუშაოები ბახმაროში, ბობოყვათში, საირმეში და ა. შ.

საკურორტო მომსახურების დონე უკიდურესად დაბალია. ამის ძირითადი მიზეზი მოსახლეობის შემოსავლების სიმწირე, სოციალური დაცვის ფონდისა და პროფკავშირების მხრივ წინათ არსებული შეღავათები გაუქმებულია. არ არსებობს ბავშვთა უფასო სანატორიული მკურნალობა, გარდა ტუბერკულოზისა. სახელმწიფო პროგრამებით დაფინანსებას არ ექვემდებარება არც ერთი სხვა დაავადება. ამას ერთვის წარმოება-დაწესებულებების უმოქმედობა, საკუთარ თანამშრომლებს დახმარებას ვეღარ უწევენ.

ცხადია, ასეთ პირობებში შეუძლებელია ფასების ისეთი პოლიტიკის წარმართვა, რომელიც საკურორტო დაწესებულებას საშუალებას მისცემს იმდენი მოგება მიიღოს, რომელიც უზრუნველყოფს საკურორტო მეურნეობის ამორტიზებული ფონდების აღდგენას, განახლებას, განვითარებას.

კურორტების რეკონსტრუქცია-რეაბილიტაციის პროცესს ხელს უშლის ისიც, რომ ქვეყანაში არ არსებობს გრძელვადიანი საკრედიტო და საინვესტიციო პოლიტიკა.

***— გამოსავალს რაში ხედავთ?***

— საბაზრო ეკონომიკის პირობებში, დადებით მოვლენად მიმაჩნია პრივატიზაციის პროცესი, რომელიც ჩვენს სისტემაში უკვე დაიწყო. 12 ობიექტი შესაბამისმა კოლექტივებმა შეისყიდეს. 6 ობიექტი გატანილია აუქციონზე. სახელმწიფო ბიუჯეტში უკვე 700 ათას ლარამდე შევიდა.

პრივატიზაციამ დადებითი გავლენა იქონია საკურორტო ობიექტების საქმიანობაზეც. საგულისხმოა აღინიშნოს ურეკის „კოლხიდას“ მაგალითი. ამ ობიექტზე წლების განმავლობაში სახელმწიფო ბიუჯეტიდან ყოველწლიურად საშუალოდ 367 500 მანეთი იხარჯებოდა. შარშან, ზაფხულის პერიოდში სანატორიუმის შემოსავალმა 234 000 ლარი შეადგინა. ობიექტი გაარემონტეს. კოლექტივმა უფასოდ მიიღო 30-მდე ავადმყოფი ბავშვი, რომლებსაც სამედიცინო დასკვნების საფუძველზე ურეკში მკურნალობა სჭირდებოდათ. ანალოგიურად მუშაობენ ბაკურიანის „მზის სხივის“ მესაკუთრენიც.

კერძო მფლობელობაში გადაცემის შემდგომ, შესამჩნევად გაუმჯობესდა ბაკურიანის პანსიონატ „მწვანე ველის“ საქმიანობა. იგი მთელი დატვირთვით მუშაობს.

თუ 1995 წელს „საქკურორტის“ მიერ რეალიზებული საგზურების საერთო თანხა 16000 ლარს არ აღემატებოდა, 1997 წლის იანვრისათვის იგი დაახლოებით შვიდჯერ გაიზარდა.

საწოლთა ფონდის დეფიციტის დღევანდელ პირობებში დიდი როლის შესრულება შეუძლია ეგრეთწოდებულ, საოჯახო ანუ სახალხო ტურიზმს. მსხვილ საკურორტო ზონებში, სადაც შენარჩუნებულია საერთო საკურორტო ობიექტები — სააბაზანოები, პოლიკლინიკები, დადებითი როლის შესრულება შეუძლია მოსახლეობის საცხოვრებელ ფონდს.

ამის თაობაზე ილაპარაკა კიდეც ბატონმა პრეზიდენტმა თავის გამოსვლაში. ოჯახური ტურიზმი, — აღნიშნა მან, — ზოგიერთი ქვეყნისთვის უცხო ხილია, და იმ მილიონობით ტურისტისაგან, რომლებიც საქართველოში ჩამოდიოდნენ, ნახევარი ოჯახებში ისვენებდნენ. ზოგან 20-25 საწოლი იდგა და ხალხი მაინც ჩამოდიოდა, ქირაობდნენ, ფულს ხარჯავდნენ და ისვენებდნენ. ასეთი ტრადიციები, ასე თუ ისე, არსებობს.

ძალიან დიდი მომავალი აქვს სამკურნალო ტურიზმს. ის ხალხი, ვინც სარგებლობდა ჩვენი წყლებით და კლიმატით, ახლაც ოცნებობს წყალტუბოში მოხვედრაზე. მე მიმაჩნია, წყალტუბოს კურორტის აღორძინების პრობლემა სპეციალურად უნდა განვიხილოთ ისევე, როგორც ბორჯომისა, არა მარტო როგორც ტურისტული ბაზის, არამედ როგორც სამკურნალო ბაზისა. იგივე შეიძლება ითქვას



უწერაზე, ბახმაროზე და სხვა. სწორედ ეს კონკრეტული მიდგომები უნდა ჩაიდოს სახელმწიფო პროგრამაში.

ასე დავგისახა საოჯახო ტურიზმის განვითარებისათვის ხელშეწყობა ბატონმა პრეზიდენტმა. დასასვენებლად თუ სამკურნალოდ ჩამოსულ ტურისტებს გარკვეული მომსახურება შეუძლია გაუწიონ კერძო სასტუმროებმა, რომლებიც წარმატებით მუშაობენ თბილისში, ბათუმში, ქუთაისში, ბაკურიანში, წყალტუბოში.

დღევანდელ ეტაპზე საკურორტო რესურსების ათვისების ეს მიმართულება თავიდან აგვაცილებს ძვირად ღირებულ კაპიტალურ მშენებლობას, მნიშვნელოვნად ხელს შეუწყობს საოჯახო მეურნეობების განვითარების, დასაქმების, შემოსავლების ზრდას, რაც საბოლოოდ მომსახურების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განმტკიცებას მოხმარდება.

***— ბატონო ზეზვა, მოგეხსენებათ, ჩვენს მოსახლეობას ძალიან უჭირს სამკურნალოდ სანატორიუმების საგზურების შეძენა, ამაზე რას იტყოდით?***

— ეს არსებითი საკითხია. საბაზრო ეკონომიკის პრინციპებიდან გამომდინარე, სახელმწიფოს ჯერჯერობით არ გააჩნია სახსრები, რომ მოსახლეობას მისთვის ხელმისაწვდომ ფასებში მიჰყიდოს საგზურები, როგორც ეს ადრე პროფკავშირების დახმარებით ხდებოდა. წელს სახელმწიფომ მხოლოდ ტუბერკულოზით დაავადებულთა სანატორიული მკურნალობის დაფინანსება შეძლო. დანარჩენი დაავადებების სამკურნალოდ, სახსრები არ არის. მაგრამ, რა თქმა უნდა, სახელმწიფო შემდგომში უთუოდ გააფართოვებს იმ დაავადებათა ნუსხას, რომლებიც სანატორიულ მკურნალობას საჭიროებენ და რომლებიც სახელმწიფო ბიუჯეტიდან უნდა დაფინანსდეს.

კერძოდ, გადაუდებელ ამოცანად გვესახება ბავშვთა გამაჯანსაღებელი პროგრამების შედგენა და დაფინანსება. პირველ რიგში, სამშობიარო ტრავმისა და ცერებრული დამბლით დაავადებულ, აგრეთვე ძვალსახსართა სნეულებით შეპყრობილ ბავშვთა სანატორიული მკურნალობა.

რაც შეეხება დაფინანსების წყაროების გამონახვას, უმნიშვნელოვანესი როლი ამ საქმეში საწარმოების ამუშავებამ უნდა შეასრულოს. წარმოების ამოქმედება ქვეყანას მოგებასაც მისცემს, ბიუჯეტიც შეივსება და სოციალური პრობლემების გადასაწყვეტი პირობებიც შეიქმნება.

**ბატონი ზეზვა გვესაუბრა, თუ როგორ ესახება ტურიზმისა და საკურორტო სისტემის განვითარების სახელმწიფო პროგრამა, რომლის დამუშავება დაავალეს საკონსულტაციო ეკონომიკური საბჭოს სხდომაზე. პირდაპირ მიუთითეს, რომ პროგრამაში, რომელიც კონკრეტულ მონაცემებს უნდა დაეყრდნოს, განსაკუთრებული ყურადღება დაეთმობა საკურორტო სისტემის სამკურნალო მიმართულებებს. კერძოდ, განსახილველად წარმოადგინონ ბორჯომის, როგორც სამკურნალო ბაზის, უწერის, ბახმაროს და სხვა კურორტების აღორძინების პროგრამები.**

ჩვენმა მოსაუბრემ გვითხრა, რომ საქართველოს იღებენ კურორტოლოგთა მსოფლიო ფედერაციის წევრად, რასაც დიდი მნიშვნელობა აქვს ჩვენი ქვეყნის კურორტების პროპაგანდისათვის. რა დასამალია, და მსოფლიოში ბევრმა არც კი იცის, თუ რა მნიშვნელოვანი სამკურნალო მინერალური წყლების პატრონები ვართ, რა უნიკალური საკურორტო კლიმატი გვაქვს. რეკლამა კი აუცილებლად გვჭირდება. საქართველოს პრეზიდენტმა ბატონმა ედუარდ შევარდნაძემ რეკლამის საკითხს უდიდესი მნიშვნელობა მიანიჭა: — რეკლამის პრობლემა, — აღნიშნა მან, — სახელმწიფო პროგრამის ერთი უმთავრესი შემადგენელი ნაწილი უნდა იყოს. ეს ისეთი სფეროა, რომლის დაფინანსება არავითარ ეჭვს არ იწვევს. ორ-სამ წელიწადში იგი თავის თავს არა თუ აანაზღაურებს, არამედ სახელმწიფოს ორჯერ და სამჯერ მეტ შემოსავალს მისცემსო.

ასე რომ, ჩვენი ქვეყანა კვლავ მრავალ დამსვენებელსა და ტურიზმს მოიზიდავს და აქედან მიღებული მოგება საქართველოს ეკონომიკის აღორძინების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი სახსარი გახდება.

ლარისა ხუზულური.

## სიმართლე კი ასეთია

# არა, პირადი მტრობა არ ყოფილა...

დიდი ადამიანების ცხოვრება კომეტის გაელვებას ჰგავს ისტორიის უზარმაზარ სივრცეში. თვალის შევლებასაც ვერ ასწრებ, ბევრი ვერც ხედავს მას. უფრო ღრმად დამკვირვებლებმა იციან ყველაზე მეტი...

კომეტა გაივლის და მერე იწყება ბჭობა, შეჯერება, ანალიზი. საიდან მოვიდა და რატომ, რამდენი წამი გაჩერდა ცის კაბადონზე, რა იყო საერთოდ...

მერე იწყება!

დიდი ადამიანების ცხოვრებასაც და მოღვაწეობასაც უმეტესწილად მერე აფასებენ. ერი მერე მიუჩენს ადგილს. ძეგლს უდგამს. აზრთა დალეგინებისათვის, შეფასების უტყუარობისათვის დროა საჭირო.

დროს კორექტივები შეაქვს პიროვნებათა შეფასებაში. დრო ემოციებისაგან დალეულია და ცივი გონებით სჯის. საბოლოო პორტრეტი ყოველთვის უკეთესია!

საქართველოს პრეზიდენტი ბატონი ედუარდ შევარდნაძე დიდია, ამ სიტყვის ღრმა და მრავლისმეტყველი მნიშვნელობით და სწორედ ამიტომ გამიკვირდა ჩემთვის სრულიად უცნობი ახალგაზრდა ქალის მაყვალა ბერიანიძის გაბედულება, რომელმაც იცის ამ გაბედულების და რისკის ფასიც:

„წიგნს სხვა სახელი დავარქვი, „ედუარდ შევარდნაძე — რისკის მეფე". რატომღაც მომწონს ეს. მომწონს, რადგან ჩვენ ორივენი, მეც და პრეზიდენტიც, რისკს ვეწევით...

მე პატარას, როცა ვბედავ მასზე წერას...

ის დიდს, განუზომელს, როცა სურს თავისი პატარა მარგალიტი — საქართველო მსოფლიოს ოქროს საგანძურში ძვირფასი თვლების გვერდით საგანგებოდ და თვალისმომჭრელად გააბრწყინოს...

ღმერთმა ქნას, გაუმართლოს!"

მართლაც სარისკო გზას დასდგომია ეს ახალგაზრდა ქალი, რადგან ქვეყნის ხელისუფლების საჭეთმპყრობლის ცხოვრებისა და შრომის შეფასება მოუნდომებია. ძნელი მისიაა. ბატონ ედუარდსა და ავტორს შორის ასაკობრივი სხვაობა 30 წელზე მეტია, იმდენი, რამდენი ხანიც **პირველია** შევარდნაძე!

ავტორი საკუთარი თვალთახედვით წარმოგვიდგენს ამ უდავოდ არაორდინარულ პიროვნებას და ჩაგვაფიქრებს...

წიგნში ერთ მხარესაა ბრალდებები, რომელსაც ხალხის გარკვეული ნაწილი უყენებს მას, მეორე მხარეს კი არის საპირისპირო არგუმენტაცია, შეფასებები. რომელი გადასწონის? ამ წიგნს ყველა თავისებურად კითხულობს და მაინც, ვერავინ ახსნის „ფორმულა შევარდნაძეს!"

ბევრ ბრალდებას საქმის ღრმა ცოდნით, დამაჯერებლად აბათილებს, თუმცა არის საკითხები, სადაც ავტორი ოპონენტებს ეთანხმება, არის ღიად ან სულაც კითხვის ნიშნის ქვეშ დატოვებული პრობლემები, რომლებიც მკითხველს ფართო აზროვნების საშუალებას აძლევს, უბრალოდ — განსჯისკენ უბიძგებს.

დღეს ბევრმა არც იცის, რომ ეს წიგნი არსებობს, მისი ნამდვილი მკითხველი ცოტაა. ის თავის სიტყვას ახლა კი არა, 10-15 წლის შემდეგ იტყვის. „ედუარდ შევარდნაძე — რისკის მეფე" მომავლის წიგნია და სწორედ ამიტომ ვბედავ რამდენიმე სიტყვის თქმას. ვფიქრობ, იგი ბევრ რამეს ფარდას ახდის და კარგ სამსახურს გაუწევს ავტორსაც და ისტორიასაც.

რამ მიბიძგა საამისოდ? წიგნში ავტორი ეძებს არგუმენტებს ერთ-ერთი ბრალდების გასაბათილებლად. ბრალდება კი სერიოზულია, დაკავშირებულია საკმაოდ გახმაურებულ გვართან — ლაზიშვილთან, იმ სისხლის სამართლის საქმეებთან, რომლებიც მის მიმართ იყო აღძრული.

ავტორი საკმაოდ ფრთხილად წერს: „დღევანდელი გადასახედიდან, როცა ამდენი ცვლილებაა ეკონომიკაში, ჩქარდება პრივატიზაციის პროცესი და სხვა, ლაზიშვილების საქმე სასაცილოდაც კი მოჩანს, მაგრამ ეს ერთი შეხედვით. ვინც ამ წყობის ხასიათი იცის (არადა, ყველამ გავიარეთ იგი) ბატონ ედუარდ შევარდნაძის დამოკიდებულებას დანაშაულად ვერ მიიჩნევს, ვერ გაამტყუნებს, თუმცა ვიცით, რომ კომუნისტების მრავალი საქმე „გარედან ატლასი იყო, შიგნიდან ათასი"... არ გამოვრიცხავ, შეიძლება პირადი მტრობაც ჰქონდა მათდამი, ამაზე ლაზიშვილებმა უნდა სთქვან, მაგრამ ეს საქმის არსს არ ცვლის. მორალური კრიტერიუმით ვერ განსაზღვრავ — დააშავეს, მაგრამ რადგან მტრობა ჰქონდათ, უნდა ეპატიებინათ... არაა ეს ასე! თანამდებობრივად მოთხოვნის სიმართლეში, არსებული კანონმდებლობით, იურიდიულად, გამართულად დგას".

რა უნდა ჰქონდეს ასეთი შეფასების საწინაამდეგო? თითქოს არაფერი, მაგრამ ჩემი ყურადღება ერთმა ფრაზამ მიიპყრო — „არ გამოვრიცხავ, შეიძლება პირადი მტრობაც ჰქონოდა მათდამი, ამაზე ლაზიშვილებმა უნდა თქვან".

**არ გამოვრიცხავო, წერს ავტორი და ვერც გაამტყუნებ. ჩვენ ვცხოვრობთ საზოგადოებაში, სადაც ხშირად იყენებენ თანამდებობას პირადი მტრებისა და არასასურველი პირების მოსაშორებლად, პასუხისგებაში მისაცემად, დასაჩოქებლად, სულიერი სიამაყის დასათრგუნად.**

ავტორი ეჭვს გამოთქვამს, არ ამტკიცებს და მართალიც არის. „ლაზიშვილების საქმის" დროს მგონი სკოლაშიც არ დადიოდა. არც მე ვიცოდი ბევრი რამ, მაშინ მოსწავლე ვიყავი, თუმცა, საზოგადოებაში არსებული ჭორი თუ სინამდვილე ხშირად მესმოდა.

საინტერესო დეტალია: მართლაც ხომ არ ჰქონდათ პირადი მტრობა? თუ ჰქონდათ, რა იყო ამის საფუძველი? იქნებ სულაც არ იყო ასე?

ძიებაში ბევრი დრო წავიდა. შევხვდი ადამიანებს, ვისაც მეტ-ნაკლებად კავშირი ჰქონდა ამ საქმესთან. ვიყავი ლაზიშვილების ოჯახში. ვესაუბრე შინაგან საქმეთა ყოფილ მინისტრს ბატონ გურამ გვეტაძეს, გადამდგარ გენერალ-ლეიტენანტს. აი, რა მიამბო მან:

ლაზიშვილების საქმე მართლაც გახმაურებული იყო 60-იან წლებში. მთელი ოცი წლის მანძილზე ამ საქმეზე იწერებოდა საჩივრები, იბეჭდებოდა მასალები პრესაში, ჩართული იყო პროკურატურა. გარკვეული შეხება მეც მქონდა ამ საქმესთან.

პირადად ვიცნობდი ოთარ ლაზიშვილს. ერთად ვსწავლობდით თბილისის რკინიგზის მე-7 სკოლაში, ერთი წლით ჩემზე წინ იყო. გვყავდა ბევრი საერთო მეგობარი, ერთმანეთს ვხვდებოდით პლეხანოვზე, სადაც სხვადასხვა „ბირჟაზე" ახალგაზრდები იკრიბებოდნენ. განსაკუთრებით სიამოვნებით ვიგონებ ფილარმონიის ბაღს, ახალგაზრდების თავშეყრის შესანიშნავ ადგილს — ვსაუბრობდით, ვესწრებოდით კონცერტებს, ხანდახან რესტორანშიც შევდიოდით.

1963 წელს ოთარ ლაზიშვილი თბილისის „დინამოს" ოსტატ ფეხბურთელთა გუნდის საწვრთნელი ბაზის დირექტორად დაინიშნა. ფეხბურთელთა წრეში ტრიალებდა და ბევრ საინტერესო ამბავს გვიყვებოდა. მახსოვს, რა დიდი ამბით გამოცხადდა სპორტის სასახლეში სლავა მეტრეველის თბილისის „დინამოში" გადმოყვანა. ამ საქმეს ოთართან ერთად თავი დაადგეს სპორტის მეცენატებმა — ოთარის ძმამ მიშიკო ლაზიშვილმა და ერთ-ერთი ფაბრიკის დირექტორმა ირაკლი ნემსაძემ. შემდგომში გავიცანი ოთარის მეუღლე ქალბატონი ნანა, მისი ბიძაშვილი თეზიკო ლაზიშვილი. ასე, რომ ეს ოჯახი ჩემთვის ნაცნობი იყო.

ოთარის მიმართ სისხლის სამართლის საქმე უცბად არ აღძრულა. ამას წინ მრავალი გარემოება უძღოდა. კერძოდ, 1964 წლის 23 ნოემბერს თეზიკო ლაზიშვილს ავტოავარია შეემთხვა. მძიმედ დაშავდა დედა-შვილი. საავადმყოფოში მიყვანის შემდეგ დედა გარდაიცვალა. ამ ფაქტის გამო აღიძრა სისხლის სამართლის საქმე, რომელიც მეტად გახმაურდა ქალაქში. საზოგადოებაში ხმა დაირხა, მანქანაში თეზიკოსთან ერთად ოთარის მეგობარი, დიდი თანამდებობის პირი იჯდა და ამიტომ გამოძიებას ფაქტის მიჩქმალვა სურსო.

ამ პერიოდში შინაგან საქმეთა მინისტრი ოთარ ქავთარაძე იყო. ბატონი ედუარდი მაშინ შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილე გახლდათ და საგამოძიებო სამსახურს კურირებდა. რამდენადაც ჩემთვის ცნობილია, ოთარ ქავთარაძემ ბატონ ედუარდს სთხოვა, ამ საქმისათვის ყურადღება მიექცია და გარკვეულიყო, რამდენად საფუძვლიანი იყო ქალაქში დარხეული ჭორი. გამორიცხული არ არის, სატელეფონო ზარები ზემდგომი ორგანოებიდანაც: ზოგიერთი, ალბათ, ცდილობდა დახმარებოდა თეზიკო ლაზიშვილს. ამგვარად, საქმე გახმაურდა და ბატონი ედუარდი, ბუნებრივია, დაინტერესდა გამოძიების მსვლელობით. გამომძიებელთა ჯგუფს მითითება მისცეს, ობიექტურად და დაწვრილებით გარკვეულიყო საქმის ვითარებაში.

თეზიკო ლაზიშვილმა წარმოადგინა ვერსია: ავარია მე არ მომიხდენია, ამ პერიოდში დასასვენებლად ვიმყოფებოდი წყალტუბოში, „ცენტროსოიუზის" სანატორიუმშიო. ამ ფაქტს ადასტურებდნენ სანატორიუმის მთავარი ექიმი, რეგისტრატურის მუშაკები და სამედიცინო პერსონალი. შინაგან საქმეთა სამინისტროში კი ინფორმაცია შემოვიდა, ეს მონაცემები მცდარია და სანატორიუმის მთავარი ექიმი და მედპერსონალი არასწორ ჩვენებებს იძლევიანო.

საქმე გართულდა, პრინციპული ხასიათი მიიღო. ძიებამ თეზიკო ლაზიშვილის ბრალეულობა დაადასტურა, და სასამართლომ ხანგრძლივი ვადით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა. ამ საქმემ იმსხვერპლა სანატორიუმის მთავარი ექიმი, მედრეგისტრატორი და ზოგიერთი სხვა თანამშრომელი, რომლებიც არასწორი ჩვენების მიცემისა და დანაშაულის დაფარვისათვის გაასამართლეს.

1965 წლის ივნისში ოთარ ქავთარაძე სხვა სამუშაოზე გადაიყვანეს და ბატონი ედუარდ შევარდნაძე შინაგან საქმეთა მინისტრად დაინიშნა. ამ პერიოდში შინაგან საქმეთა სამინისტროს მილიციის სამმართველოს უფროსის მოადგილედ დავინიშნე (სამმართველოს უფროსი გენერალი ვარლამ შადური იყო). სხვა საქმეებთან ერთად ვკურატორობდი სახელმწიფო საკუთრების დატაცებისა და სპეკულაციის წინააღმდეგ ბრძოლის განყოფილებას. ამ პერიოდში შინაგან საქმეთა სამინისტროში შემოდიოდა ოპერატიული ინფორმაცია ადგილობრივი და მსუბუქი მრეწველობის საწარმოებში სახელმწიფო საკუთრების დატაცების ფაქტებზე. გატარებული ღონისძიებების შედეგად მრავალ საწარმოში მართლაც გამოვლინდა ასეთი ფაქტები.

ამ დროს ოთარ ლაზიშვილი ადგილობრივი მრეწველობის სამინისტროს სპეციალური საკონსტრუქტორო ბიუროს ლაბორატორიის გამგედ მუშაობდა. იგი არ წარმოადგენდა შინაგან საქმეთა სამინისტროს ინტერესის ობიექტს. ეს მოგვიანებით მოხდა, როდესაც დანაშაული გაიხსნა თბილისის სინთეზურ ნაკეთობათა ფაბრიკაში.

აი, როგორ მოხდა ეს:

ფაბრიკის მთავარმა ინჟინერმა (არც აქ და არც შემდგომ, გვარებს არ დავასახელებ, ვინაიდან ამ საქმეში გარეულმა პირებმა სასჯელი მოიხადეს და დაუბრუნდნენ თავიანთ ოჯახებს) შემნახველ სალაროში წარადგინა ლატარიის ბილეთი, რომელსაც წილად ხვდა მოგება ავტომანქანა „ვოლგა". ლატარიის ბილეთი ყალბი აღმოჩნდა, რის გამოც, სისხლის სამართლის საქმე აღიძრა. გაჩხრიკეს მთავარი ინჟინრის წყნეთის აგარაკი, სადაც სამარხში 50 ათასი მანეთი იპოვეს. ბუნებრივია, დაისვა ფაბრიკის შემოწმების საკითხი. აღიწერა მატერიალური ფასეულობანი, ჩატარდა დოკუმენტური რევიზია. თბილისის სავაჭრო ქსელში გამოვლინდა ამ ფაბრიკაში დამზადებული აღურიცხავი პროდუქცია. პასუხისგებაში მისცეს ფაბრიკის დირექტორი, მთავარი ინჟინერი, საამქროს უფროსები, ბუღალტერი, საწყობის გამგე და ზოგიერთი სხვა მუშაკი — სულ 15 კაცი.

გამოძიების პერიოდში შინაგან საქმეთა სამინისტროში შემოვიდა ოპერატიული ინფორმაცია, რომლითაც ირკვეოდა, რომ ამ ჯგუფს დანაშაულებრივი კავშირი ჰქონდა ადგილობრივი მრეწველობის სამინისტროს მუშაკებთან და ამ სისტემის ზოგიერთი საწარმოს, კერძოდ, გარდაბნის რაიონის ადგილობრივი მრეწველობის კომბინატის სოფელ ნორიოსა და კასპის ხელჩანთების საამქროთა ხელმძღვანელებთან, საქმეში გარეულ სხვა პირებთან ერთად, მოხსენებული იყო ოთარ ლაზიშვილიც, როგორც ამ ჯგუფის ორგანიზატორი.

გამომიძახა მინისტრმა. დამავალა შემესწავლა შემოსული მასალები, მომეხდინა მათი ანალიზი, სისტემატიზაცია და გამოძიების პარალელურად გამეტარებინა საჭირო ოპერატიული ღონისძიებები.

საქმეს იძიებდა ახალგაზრდა ნიჭიერი გამომძიებელი ვახტანგ გვარამია, რომელიც დღეს იუსტიციის მინისტრის მოადგილეა. ძიებას ხელმძღვანელობდა პოლკოვნიკი არსენ ნაჭყებია. საგამოძიებო აპარატს სათავეში ედგა გამოცდილი იურისტი გოგი სოგორაშვილი.

საგამოძიებო და ოპერატიული მასალების ანალიზით, მოწმეთა ჩვენებით დადგინდა, რომ დამნაშავეთა წრე სცილდებოდა სინთეზურ ნაკეთობათა ფაბრიკის ფარგლებს. გამოვლინდა დანაშაულში მონაწილეთა საკმაოდ ფართო წრე, მათ შორის, ოთარ ლაზიშვილიც.

შექმნილმა მდგომარეობამ ჩამაფიქრა და შემაწუხა. გადავწყვიტე, გულახდილად გამეზიარებინა მინისტრისათვის ჩემი შეშფოთების მიზეზი. ბატონმა ედუარდმა ყურადღებით მომისმინა. მოვახსენე, რომ ბავშვობიდან ვიცნობ ოთარ ლაზიშვილს, მის ოჯახს, ბევრი საერთო მეგობარი გვყავს, ამიტომ ჩემთვის უხერხულია მის მიმართ აღძრული სისხლის სამართლის საქმის გამოძიებაში მონაწილეობა. ბატონმა ედუარდმა მითხრა, ძალიან კარგია, რომ არ დამიმალე და გულახდილად მითხარი, შენთვის მართლაც უხერხული იქნება ამ საქმეში მონაწილეობა, ჯგუფმა გააგრძელოს გამოძიება. შენ მხოლოდ საქმის კურსში იყავი, რა ხდებაო.

ამ პერიოდში დაიწყო გამძაფრებული ბრძოლა სახელმწიფო საკუთრების დატაცებასთან, გაფლანგვასთან, „საქმოსნობასთან". ასეთი იყო იმ დროის მოთხოვნა და ამ კურსს ატარებდა საქართველოს მაშინდელი ხელმძღვანელობა.

ვფიქრობ, ამ პერიოდში არასწორად მოიქცა თვით ოთარი. მან დაძაბა სიტუაცია. ცდილობდა საზოგადოებაში შეექმნა აზრი, რომ შინაგან საქმეთა სამინისტრო ოთარ ლაზიშვილს ვერაფერს დააკლებს, რომ ამ ჯგუფს მფარველობენ მაღალი თანამდებობის პირები. იგი კიდეც გაემგზავრა მოსკოვში საქმის „მოსაგვარებლად". ყველაფერმა ამან ძალიან გაართულა მდგომარეობა.

ეს ვითარება, რა თქმა უნდა, მაწუხებდა, რაც გავანდე კიდეც ჩემს უახლოეს მეგობარს ალექსანდრე ბუაძეს. ჩვენ ერთად ვსწავლობდით სკოლაში, შემდეგ კი საქართველოს პოლიტექნიკურ ინსტიტუტში. იმ პერიოდში ა. ბუაძე სახელმწიფო მომარაგების მთავარი სამმართველოს უფროსად მუშაობდა (ამ თანამდებობაზე თბილისის ელმავალმშენებელი ქარხნის დირექტორობიდან გადაიყვანეს), ავტორიტეტიანი პიროვნება იყო, ისიც ჩემსავით იცნობდა ოთარს და ურჩია, არ არის საჭირო ასეთი დაძაბული სიტუაციის შექმნა, პროტექტორების ძებნა, ეს მხოლოდ ართულებს საქმეს, თბილისის სინთეზურ ნაკეთობათა ფაბრიკაში მომხდარი ფაქტი დადასტურებულია ინვენტარიზაციის, რევიზიის მასალებით, მოწმეთა ჩვენებებით, სავაჭრო ქსელში მიკვლეულია აღურიცხავი პროდუქცია და რამდენადაა ეს დაკავშირებული ოთარ ლაზიშვილის პიროვნებასთან, ამას ძიება გაარკვევსო.

ოთარი მაინც ცდილობდა გამოძიებაზე ზეგავლენის მოხდენას. ეს უშედეგო აღმოჩნდა. ძიებამ დაადასტურა მისი კავშირი ამ ჯგუფთან, მისცეს სისხლის სამართლის პასუხისგებაში, გაასამართლეს და 15 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯეს.

საქმე ძალიან გახმაურდა. იყო ოჯახის წევრთა საჩივრები. ეს საქმე რამდენჯერმე გადასინჯა რესპუბლიკის

(დასასრული მე-9 გვ.)



კანადის პრემიერ-მინისტრი ჟან კრეტიენი 2 ივნისს დანიშნული არჩევნების წინ ქვეყანაში მოგზაურობს და აგიტაციას უწევს თავის ლიბერალურ პარტიას.

## ორი კორეა: ცა და დედამიწა

ბელგიის გაზეთი „გრენც ეხო" აქვეყნებს მასალას, რომელიც ეძღვნება სიტუაციას ჩრდილოეთ კორეაში. გაზეთის ინფორმაციით, ბოლო დროს ჩრდილოეთ კორეის მოქალაქეთა მდგომარეობა მსოფლიოს საზოგადოებრიობისა და, განსაკუთრებით, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ჰუმანიტარული კომიტეტების წარმომადგენელთა მზარდ შეშფოთებას იწვევს. გაზეთი, აგრეთვე იუწყება, რომ ექსპერტთა მონაცემებით, ქვეყნის 24-მილიონიანი მოსახლეობიდან 20 მილიონზე მეტი გამუდმებით შიმშილობს და გადაშენების პირას არის მისული. „გრენც ეხოს" მოჰყავს მონაცემები, რომელთა თანახმად, ჩრდილოეთ კორეის მოქალაქენი იღებენ ქვეყნის მთავრობისაგან ყოველდღიურ სასურსათო ულუფას, რომელშიც შედის სულ 100 გრამი ბრინჯი კაცზე და ცოტაოდენი ხის ფოთლები, რომლებიც იჭმევა. გაზეთი გამოთქვამს აზრს, რომ განვითარებულმა სახელმწიფოებმა სასწრაფოდ უნდა აღმოუჩინონ ჩრდილოეთ კორეას ჰუმანიტარული დახმარება, და არ უყურონ მსოფლმხედველობის წინააღმდეგობებს.

## პირველად ნიურნბერგის შემდეგ

გაზეთი „ექსპრესი" აქვეყნებს მასალას, რომელიც ეძღვნება იუგოსლავიის ომის შედეგებს. გაზეთი იუწყება, რომ 7 მაისს ყოფილ იუგოსლავიაში ჩადენილ სამხედრო დანაშაულობათა ტრიბუნალმა დუშან თადიჩი, ბოსნიელ სერბთა არმიის ერთ-ერთი უფროსი ოფიცერი, ბრალეულად ცნო ადამიანების წინააღმდეგ ჩადენილ მთელ რიგ დანაშაულობაში. მიუხედავად იმისა, რომ თადიჩს მოგვიანებით გამოუტანენ განაჩენს, ტრიბუნალმა უკვე ოფიციალურად აღიარა მისი ბრალეულობა, რითაც დასაბამი მიეცა მართლმსაჯულების განხორციელებას სამხედრო დამნაშავეთა მიმართ, რომლებსაც ბრალი მიუძღვით სისხლიან დანაშაულობებსა და უამრავი მშვიდობიანი მცხოვრების დახოცვაში. თანაც, ეს მოხდა პირველად ნიურნბერგის პროცესის შემდეგ. გაზეთის აზრით, ტრიბუნალის საქმიანობამ მთელ მსოფლიოს უნდა უჩვენოს, რომ შინაომებისა და სამოქალაქო ომების დროს ჩადენილი სამხედრო დანაშაულობანი გაიხსნება და ბრალეულნი სასტიკად დაისჯებიან.

## „SOME MORE"-მეთხოვნი თოჯინა

ფილადელფიის (აშშ) რეზინტექნიკური ნაწარმის ქარხანამ ადგილობრივ მაზოხისტთა ორგანიზაციის შეკვეთით დაიწყო ახალი მოდიფიკაციის სექსთოჯინის (ე. წ. გასაბერი ქალების) გამოშვება, იუწყება ჟურნალ „Spontom magazine"-ს მიმომხილველი რუდოლფ რასპე. იგი გარეგნულად თითქმის არ განსხვავდება შედარებით ნორმალური უკუღმართებისათვის განკუთვნილი გასაბერი მიჯნურისაგან, მაგრამ აქვს რამდენიმე სპეციფიკური ნიშანი, რომელიც პნევმატიკური ტიკინების კონსტრუქტორებმა შეიტანეს თავიანთ ნაწარმში თვითგვემის მოტრფიალეთა რეკომენდაციით. ჯერ ერთი, თოჯინა ყოველ ხუთ წუთში იმეორებს სიტყვებს „Some nore" („ცოტა კიდევ"), და მეორეც, სპეციალური ხაოიანი (წნევის აპარატის დასამაგრებლის მსგავსი) ქსოვილის მეშვეობით ეწებება პარტნიორს. გაწებება ხდება ავტომატურად, ბატარეების დაჯდომისთანავე (ბატარეები განკუთვნილია 48 სთ განუწყვეტელი მუშაობისათვის. – რედ.).

გარდა ამისა, მომხმარებელთა თხოვნით გასაბერი თოჯინის ტანი დაფარულია ზუმფარის კანით (ე. წ. „შკურკა") და უჟანგავი ფოლადის ბუსუსებით. (3 : 0).

## ერგებათ თუ არა ინვალიდობის პენსია ესესელებს?

გერმანიის მთავრობამ გამოაცხადა, რომ შეუწყვეტს ინვალიდობის პენსიის მიცემას იმ პირებს, ვისაც ბრალი მიუძღვის მეორე მსოფლიო ომის დროს სამხედრო დანაშაულობათა ჩადენაში, იუწყება როიტერი. სამხედრო დამნაშავეთა მიერ პენსიების მიღების ამსახველი მონაცემები პირველად გამოაქვეყნა შარშან დეკემბერში ამერიკის ებრაელთა კომიტეტმა. უკანასკნელი მონაცემების თანახმად, მარტო ამერიკის შეერთებულ შტატებში სამხედრო პენსიებს გერმანიის მთავრობისაგან ყოველთვიურად იღებს ესესისა და ვერმახტის თითქმის 3500 ვეტერანი, აგრეთვე ნაცისტური გერმანიის მოკავშირე ქვეყნების არმიების, მათ შორის ესესის ელიტური ქვეგანაყოფის „ადოლფ ჰიტლერის" ვეტერანები.

## მაფია – მართლმსაჯულება: ვინ-ვის?

ამ რამდენიმე დღის წინათ პალერმოში სამართალდამცველმა ორგანოებმა დაიჭირეს იტალიის მაფიის თერთმეტი ყველაზე გავლენიანი ხელმძღვანელი. დპა სააგენტოს ინფორმაციით, დაკავებულთა შორის აღმოჩნდა 1993 წელს დაპატიმრებული მაფიის თავკაცის ტოტო რიინას დისწული მარიო გრიცაფი, იტალიის დღევანდელი ორგანიზებული დამნაშავეობის სულისჩამდგმელი. სააგენტო, აგრეთვე აღნიშნავს, რომ პოლიციის მიერ დამნაშავეთა ამ ჯგუფის დაპატიმრება გამოუსწორებელ ზიანს მიაყენებს ქვეყნის დანაშაულებრივ დაჯგუფებებს და საშუალებას მისცემს სამართალდამცველ ორგანოებს თქვან, რომ მოიპოვეს იტალიის ისტორიაში ერთ-ერთი უდიდესი გამარჯვება მაფიოზურ სტრუქტურებზე.



ბომბეიში ჯურღმულების ბინადარი ბავშვები სასმელი წყლის ონკანთან შეკრებილან. ქალაქში წყლის მწვავე ნაკლებობა იგრძნობა ამ დროისათვის უჩვეულო სიცხის გამო.

## კიდევ კარგი. შვებულებას სახლში ვატარებთ!

მოგზაურობა სულაც არ არის ჯანმრთელობისათვის უსაფრთხო, წერს ინდური ჟურნალის „დელი ბელის" კორესპონდენტი. ჟურნალის მკითხველთა შორის მოწყობილმა გამოკითხვამ ცხადყო, რომ მათგან დაახლოებით 22 ათასს მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში მოგზაურობის დროს სისტემატურად აწუხებდა კუჭის, ღვიძლისა და გულის დაავადებანი. აანალიზებს რა სოციოლოგიური გამოკითხვის მონაცემებს, სტატიის ავტორს გამოაქვს დასკვნა, რომ მოგზაურთა ჯანმრთელობაზე ყველაზე უარყოფითი გავლენა მოახდინეს ჩინეთმა, თურქეთმა, ეგვიპტემ, მაროკომ და ინდონეზიამ. გამოკითხულთა 30 პროცენტზე მეტმა ამ ქვეყნებში მოგზაურობის დროს ან შინ დაბრუნებისას გადაიტანა სხვადასხვა ავადმყოფობა. ამ მხრივ ყველაზე უსაფრთხო ქვეყნებს შორის აღმოჩნდნენ დანია, დიდი ბრიტანეთი, ფინეთი, შვეცია, გერმანია და ირლანდია, წერს ჟურნალი.

## „ტაგესცაიტუნგი" ძირს უთხრის მეგაკომს?

ფიჭა - ტელეფონების გამოყენება რამდენჯერმე ზრდის კიბოთი დაავადების რისკს მათი მფლობელებისათვის. გაზეთ „ტაგესცაიტუნგის" ინფორმაციით, ასეთი დასკვნა გამოიტანა გერმანელ მკვლევართა ჯგუფმა, რომელიც აწყობდა კომპლექსურ კვლევას ამ დარგში. გაზეთი აღნიშნავს, რომ მუშაობის დროს მეცნიერებმა თაგვებსა და ვირთხებზე გამოსცადეს 900 მეგაჰერცი სიხშირით მომუშავე ფიჭა-ტელეფონების რადიოტალღების ზემოქმედება. კვლევამ ცხადყო, რომ პრაქტიკულად ყველა ცხოველს, რომლებზეც ვრცელდებოდა ტელეფონების რადიოტალღების გავლენა, სულ მალე შეეყარა სხვადასხვა ფორმის კიბო. გაზეთი, აგრეთვე აღნიშნავს, რომ მეცნიერები, ემყარებიან რა კვლევის შედეგებს, ამტკიცებენ: ამიერიდან სრული საფუძველი გვაქვს ვთქვათ, რომ რადიოსატელეფონო კავშირი დამღუპველ გავლენას ახდენს ადამიანის ორგანიზმზე და მისი გამოყენება უნდა აიკრძალოს.

## იარაღი კარადასთან ერთად უნდა იყიდებოდეს!

ამერიკელთა ოჯახების 35 პროცენტი შინ ინახავს ცეცხლსასროლ იარაღს, წერს გაზეთი „ჩიკაგო ტრიბუნი". ამასთან 44 მილიონ ამერიკელზე მოდის 190 მილიონ ერთეულზე მეტი იარაღი. როგორც წესი, იგი ყოველთვის დატენილია და ინახება ისეთ ადგილას, სადაც ბავშვებს მიუწვდებათ ხელი. არსებული მონაცემებით, 1994 წელს ცეცხლსასროლი იარაღის დაუდევარი ხმარების შედეგად დაიღუპა 185 ბავშვი. ამასთან დაკავშირებით, იუსტიციის სამინისტრომ მიმართა კონგრესს თხოვნით, მიიღოს კანონი, რომელიც უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად გაითვალისწინებს ცეცხლსასროლ იარაღთან ერთად გაიყიდოს მისი შესანახი კარადის კლიტეც, წერს „ჩიკაგო ტრიბუნი".

## „ღვინო, დუდუკი, ქალები" – ახალი სიო კათოლიკურ ეკლესიაში

რომის კათოლიკური ეკლესიის ლიბერალურად განწყობილი წარმომადგენლები შეუდგნენ ეპიკურეული ცხოვრების წესის აქტიურ პროპაგანდას, იუწყება ბრიტანული გაზეთი „ტაიმსი", რომელიც იმოწმებს იტალიურ ჟურნალს „ფამილია ქრისტიანა". დომინგოს ეკლესიის მაგისტროსის ჯორდანო მურაროს თქმით, არ არსებობს არც ერთი ბიბლიური ავტორიტეტი, რომელიც მთლიანად უარყოფდეს სიამტკბილობის მიღების მესაძლებლობას, რომლის წყაროც არის ჭამა-სმა და ლამაზი ქალები. „მერედა რა, თუ ეს არ არის ნათქვამი საღვთო წერილში, ეს სულაც არ ნიშნავს, რომ დროსტარება არ შეიძლება", – მოჰყავს „ტაიმსს" მაგისტროსის სიტყვები. „ფამილია ქრისტიანაში" ჯორდანო მურაროს სტატიის პუბლიკაციამ ვატიკანის ენით აუწერელი გაშმაგება გამოიწვია. თუმცა, როგორც „ტაიმსის" კორესპონდენტი თვლის, ვატიკანის გაშმაგება მიმართულია არა იმდენად ლიბერალურად განწყობილი მურაროს წინააღმდეგ, რამდენადაც იმ ჟურნალის წინააღმდეგ, რომელსაც დიდი პოპულარობა აქვს მოხუცებული იტალიელ კათოლიკეებს შორის.

## 3000 ენიდან 2900-ზე მეტი „კალმით აუწერელია"

ამერიკელ მეცნიერთა უკანასკნელი გაანგარიშებით, საღღეისოდ მთელ მსოფლიოში ლაპარაკობენ დაახლოებით 3 ათას ენაზე, წერს კანადის გაზეთი „გლოუბ ენდ მეილი". ამასთან, ლიტერატურა არსებობს მხოლოდ 78 ენაზე, და მათგან სულ ექვსი ენა ითვლება საერთაშორისოდ. ენებისა და ლიტერატურული ქმნილებების რაოდენობას შორის ასეთი შეუსაბამობა სპეციალისტთა ერთგვარ შეშფოთებას იწვევს. სწორედ ამიტომ წამოაყენეს ლოზუნგი: „ყოველ ენას – თავისი-ლიტერატურა!".



დიდი სარკინიგზო კატასტროფა მოხდა პოლონეთის ჩრდილო-დასავლეთში. 10 კაცი დაიღუპა, 20-მდე დაშავდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დამატება ბავშვებისათვის №4
1997 წლის 11 მაისი

# ილოა მშვიდობისა



## შოთა რუსთაველი
### აფორიზმები

**ბ.**

ბრძენი, ვინ ბრძენი, რა ბრძენი, ხელი ვითა იქმს ბრძნობასა!..

ბოლოდ ყოვლი დამალული საქმე ცხადად გამოცხადდეს.

ბოროტსა სძლია კეთილმან, არსება მისი გრძელია!

ბრძენთა უთქვამს სიყვარული, ბოლოდ მისი არ-წახდომა.

**გ.**

გასტეხს ქვასაცა მაგარსა გრდემლი ტყვიისა ლბილისა.

გრძელი სიტყვა მოკლედ ითქმის, შაირია ამად კარგი.

გული, ცნობა და გონება ერთმანეთზედა ჰკიდიან.

გველსა ხვრელით ამოიყვანს ენა ტკბილად მოუბარი.

გონიერსა მწვრთნელი უყვარს, უგუნურსა გულსა ჰგმირდეს.

**დ.**

დიდი ლხინია ჭირთა თქმა, თუ კაცსა მოუხდებოდეს.

დიდთა ხეთა მოერევის, მცირე დასწვავს ნაბერწკალი.

**ე.**

ერთგულთათვის კარგი ნუ გშურს, ორგულიმცა შენი კვდების!

ხალხური

## თამარ დედოფალ ვიყავ!

თამარ დედოფალ ვიყავ,
თავი ძირს აღარ დავილე,
ზღვაში ჩავყარე სამნები,
ხმელეთი ჩემკენ მოვიგდე;
ქაჯებსა დავდე იჯარა,
ისპაანს ხარჯი ავილე,
სტამბულს ხმალი ვკარ, დარუბანდს,
შაქს საბალახე ავილე,
უსიერი მთა ავკაფე;
დიდი შარა-გზა გავილე.
ლადა-ლუდა ტყე ვიარე,
ქვაზე საყდარი ავიგე.
ამდენი საქმის მოქმედმა
ცხრა ადლი ტილო წავილე.

ბეჟან სვანიძე

## გამოცანა:

სუყოველგვარ ცხოველს,
ყველას, ყველა ჯურის,
რომ გამოჰყავთ ცირკში
რთავენ ჭრელა-ჭრულით.
აუჭრელებლად და
შეულამაზებლად,
რომელი გამოჰყავთ?
რომელი და...



ვალერიან მამუკელაშვილი

## მდივანი ჩხიკვი



ისევე, როგორც იციან ჩვენში,
ჩხიკვის ბლარტს ისე აქებდნენ ტყეში,
ახალგაზრდაა, წინ წავა, წინა,
მის ტოლებს ჯერაც ბუდეში სძინავთ.
გესმით, რამდენი ისწავლა ენა?
ყველაზე სწრაფად ისწავლა ფრენა.
და თუ კვლავ ასე განაგრძო სწავლა,
დაზეპირებით საგნების გავლა.
სახელს მოიხვეჭს; არ უნდა ფიცი,
ნიჭის შეცნობა ჩვენ კარგად ვიცით! –
და ერთ დღეს, როცა ჭყანტობის უფროსს
ყვანჩალას ხეპრეს, ბრიყვსა და უჭკოს,
დასჭირდა უცბად მდივანი მარდი,
მიჰგვარეს წამსვე სწორედ ის ბლარტი.
მიიღო, დასვა ჭაბუკი მდივნად,
საწერ-კალამი დაუდვა წინა.
მას შემდეგ იქ ზის, ყვანჩალას კართან,
შიგ არვის უშვებს, მსახურთა გარდა.
საქმე გაუჩნდა იოლი ჭაბუკს,
სხვისა დაწერილს აგზავნის საბუთს.
დაჰკარგა ხმა და გადასცდა გზასა,
ყვანჩალასავით იძახის „ყვა“-სა,
დაუშრა ცოდნის სიღრმისკენ სწრაფვა,
ისწავლა სხვათა აზრების ყლაპვა,
და, ერთი სიტყვით, რაღა ვთქვა მეტი,
ასეთი არის იმ ბლარტის ბედი.

* * *

ასეთი არის საწუთრო ჩვენი,
ჯიუტი არის ჯიში და გენი,
თაფლშიც რომ ჩარგო ყვავილის ღერი,
გადაგვარდება, ეცვლება ფერი.

ალექსანდრე დიდებაშვილი

## თუ ჰყავთ ოსტატი



ბალი,
ჭერამი,
გარგარი,
მზისაგან ნაბადაგარი,
მსხალი, ატამი,
ქლიავი...
თვალს გვტაცებს
ფერთა ციალით.
ნაშყენი ნერგის
ნაყოფი, –

ჩვენი და თქვენი
სამყოფი,
წვნიანიც არის,
ტკბილიცა,
არომატულიც,
მსხვილიცა...
ხილით სავსეა
სოფელი,
თუ ჰყავთ ოსტატი
მცნობელი.

## მზისკენ მივიწევთ

მამამ კისერზე
შემომისვა
და მიხარია.
ნახეთ,
ქუჩები
ვარდ-ყვავილებს
დაუფარია.
და მიხარია,
სამფერ დროშას
მეც ვაფრიალებ.
მზისკენ მივიწევთ,

ალმა,
ალმა...
ზეცა კრიალებს.
გამალონივრებს,
დიდს,
დიდს,
სულ დიდს
გამზრდის უფალი,
რომ მეც ვაშენო
საქართველო
თავისუფალი.

## სამასი არაგველი

საოცარია გმირობა
სამასი არაგველის.
მთიდან ჭიხვინა
მერნებით
გამოვლეს შარა
გრძელი.
კრწანისს ჩალეწეს
გულდაგულ
მომხვდურის
ხერხემალი...

მათთვისაც მზე
ჩაესვენა...
მათაც დახუჭეს
თვალი...
მანამდე მტერს
შეამსხვრიეს
ფარ-შუბი რვალისანი...
სიცოცხლედ სწამდათ
ვაჟკაცებს
მამული საფიცარი!

მიხეილ შუბითიძე

## გულადი ზაზა



ზაზა არის ხუთი წლის
ნინიკო კი — ათის.
ზაზამ კითხვა არ იცის,
არც სკოლაში დადის.
ერთხელ ნინოს რვეული
გადაფხრიწა ზაზამ
და თავისი დაიკო
ძლიერ გააბრაზა.
— შე ნადირო, რა ჰქენი? —
ეუბნება ნინო. —
ხომ არ გინდა ცხვირიდან
სისხლი დაგადინო!
ზაზას მეტიც არ უნდა,
პირს ღლავივით აღებს
და იმისი ტირილი
სწვდება ბაღჩა-ბაღებს.
სად იყო და სად არა,
გამოვარდა თაგუნა,
ერთი ციცქნა პატარა,
კუდ გრძელ, ულვაშცმაცუნა.
— ვაი, დედა, მიშველე!.. —
ნინო შიშით დნება,
ზაზუნა კი ხარხარებს,
თან დას ეუბნება:
— ჩემო კარგო დაიკო,
მე აქ არ ვარ, რა იყო?!
თაგვს არ ძალუძს კბენა,
შე, მშიშარა, შენა!

## უშიშარი მონადირე

თოფ-იარაღს არ იშორებს
ჩვენი მამუკელა.
— რა ბიჭია, რა ვაჟკაცი! —
გაიძახის ყველა.
ხშირად ხოცავს აფრიკაში
სპილოებს და ლომებს,
ცალი ხელით ვეფხვსაც აღრჩობს,
როცა მოინდომებს.
მხოლოდ ერთს გთხოვთ: ჩვენში
დარჩეს,
არ წამოგცდეთ რამე,
აფრიკაში დადის იგი,
ტკბილ ძილის დროს, ღამე.

## ბაქიბუქას აღსასრული



მამალს თვალში დაეტაკა
აბეზარი ბუზანკალი,
შემდეგ ვირიააყვირა:
„გეყო, კარგი, ნუ მომკალი!...“
ძროხას ცხვირში შეუძვრა და
კუდის ძირში — წვერცანცარას.
იჭაჭება: „მძლეთამძლე ვარ!..“
ბევრი ორთის და შიშს ვერ
ფარავს.
მერცხალს ძლიერ გაუკვირდა
ყოველივე ეს რომ ნახა,
ნისკარტი ჰკრა ბაქიბუქას
და ჩიჩახვში გადუძახა.

## თამუნია



ჩემი თვალის ჩინი ხარო,
მეუბნება ბებო,
პაპა ამბობს, მაგის ეშხით
ას წელს ვიცოცხლებო.
მამა ნატვრის თვალს
მიწოდებს,
დედა — სიცოცხლესა,
ხან კი ერთად მადარებენ
ბადრ მთვარეს და მზესა.
ნუთუ ყველა მართალია,
დავიჯერო?.. როგორ?!.
მე ვარ მხოლოდ თამუნია,
თვალჟუჟუნა გოგო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## შიო ხათუნაიძე

### გაზაფხული



კვირტი გამობერილა,
მიწა გალვივებულა,
მწვანე, მწვანე ბალახი
ამოლაღანებულა.
ჩიტუნია-ჩიტუნა
აჭიკ-ჭიკ-ჭიკებულა,
ნაკადული პაწია
უკვე ადიდებულა.
მოიშორა ზეცამაც,
ღრუბელი რომ ებურა,
მზის სხივს ეთამაშება
აღარ სცივა ბელურას.
გაზაფხული ლამაზი
შემობრძანდა მეფურად.

### ბუ და შაშვის ბარტყი

გულდადებით უსმენდა
შაშვის ბარტყი ბუსაო:
– ცეცხლს ნუ გაეკარები,
ბუმბულს წაიტუსავო.,
თუ მოგწყურდეს –
მიმართე
რუს და ნაკადულსაო.
თავს ნუ შეჰყოფ, სადაც კი
ხესა ნახავ ღრუსაო...
ქორს, ძერას თუ მიმინოს
და მთელ იმათ რჯულსაო,
მოერიდე, იცოდე,
გაგიხეთქენ გულსაო.
ჩხიკვს, კაჭკაჭს და
ყვანჩალას
ნუ დაუგდებ ყურსაო,
ისეთ ჭორებს გეტყვიან,
აადენენ ბუქსაო.
უცებ გამოგაცლიან
პირიდანაც პურსაო...
... რა აღარ დაარიგა,
ბარტყი იფხანს ყურსაო...
სახლში დედა შაშვს
ჰკითხა:
– რა უნდოდა ბუსაო?!

### წიწკანა

ძველად თურმე წიწკანა
სხვების ტოლი ყოფილა,
მაგრამ – ისე ავგულა,
ვერვის დაემხობილა...

სულ ჩხუბობდა, დაობდა,
კაპასობდა, ჭყიოდა,
მეტი სიავისაგან
ცრემლებიც კი სდიოდა.

ჩხუბითა და კივილით
ფრინველებსა ზარავდა,
ამდენ კაპასობაში
ასე დაპატარავდა...

და იცოდეთ, ვინც ხშირად
ჩხუბობს, ყვირის, ავდება,
სწორედ წიწკანასავით
დაგვიპატარავდება.

### დათვი და ცხოველები

ცხოველებმა ნახეს დათვი
შიმშილისგან გალეული.
უთხრეს – წამო, დათუნია,
იყავ ჩვენი მზარეული...
ცოტა რამე გვეშოვება,
არ მოკვდები შიმშილითა...
წაიყვანეს, მზარეულად
გაამწესეს იმ დილიდან.
ცეცხლთან არი, აღარ
კვდება
უჭმელობით, სიცივითა...
შემოუკრავს წინსაფარი,
ჩაჩი ხურავს თეთრი,
ფიფქა.
... უკვე დიდი ლიპით
დადის
ბაჯ-ბაჯ, ბაჯ-ბაჯ
ბაჯბაჯითა.
სხვებს რა რჩება?
არაფერი!
და არც უსმენს
სამდურავსა,
თქვენ მითხარით, რა
მოელის
ამისთანა დათუნასა?



### წიფლიჩიტა-ჩიტუნა



ქარი წივის, გაყინულ
ხეებს ეთამაშება,
დაუყარეს საკენკი
ჩიტუნიებს ბავშვებმა.
წიფლის ხიდან ფიფქებად
თოვლი ჩამოიშალა,
წიფლიჩიტამ წიფლიდან
ჩამოფრენა იჩქარა.
მოგოგმანობს,
თითქოსდა
საკენკისკენ მიცურავს,
ფრთებლამაზი,
ლაბუა,
წიფლიჩიტა-ჩიტუნა.

## დიასახლისი

ლექსი მედეა კახიძისა
მუსიკა რუსუდან სებისკვერაძისა



მეც მინდა ვიყო, პირფახო,
დიასახლისი შენფერი,

შენნაირ ყოჩაღ დედიკოს
ყოჩაღი შვილი შეფერის.

### ხალხური

#### ყაყაჩოსა სიწითლითა



ყაყაჩოსა სიწითლითა
ყანა დაუმშვენებია,
ყმაწვილსა კარგი სწავლითა
დედა გაუხარებია.

## შოთა ამირანაშვილი

### შარადები

1. ჭიაკოკონა დაანთე,
გამოყო ოქროს ენა, –
გემრიელ ხილად რომ
იქცეს,
თავში დაურთე ბგერა.
სიტყვას თავკიდურ
თანხმოვანს
ისევ შეუცვლი ხელად, –
ახალი მთავრის მსგავსია,
რქოსანის ჩლიქზე ელავს.
კვლავ შეუცვალე ის
ბგერა,
რომელიც თავში ახლავს
და ნაქსოვს
ნაირფერებად
კედელზე გაკრულს ნახავ.
მერე იგივე თანხმოვანს
თუ გამოუცვლი კიდევ,
ძვირფასი ქვაა, წითელი,
სახელს შენ უნდა მიხვდე.

([illegible])

2.
მტაცებელი ცხოველია,
ცბიერი და ვერაგი,
ზოლ-ზოლებად ნაქარგია,
მისი ბეწვის პერანგი.
ჯერ თანხმოვანს თუ
შეუცვლი,
ათრთოლებით
შეგხვდება,
მისი ნერგი გასახარად
შენც ჩაგირგავს ეგება!
ხოლო მერე ხმოვნის
შეცვლით
გამოგივა ფრინველი. –
მეტად გრძელი ნისკარტი
აქვს,
ვინ მიხვდება პირველი?

([illegible])

3.
წამწამს ურხევს
გვირილას
უხილავი ძალა, –
ბოლო მარცვლის გარეშე
დასაწყისად კმარა.
ერთიც ხეა მოჭრილი,
სქელტანა და სწორი,
ფიცრებადაც ხერხავენ,
მარცვალი აქვს ორი.
შეაერთე პირველთან
ეს სახელი ხისა,
ცხოველია ველური,
წინაპარი თხისა.

([illegible])

### გამოცანა

იგი დიდი სიკეთით და
მადლით არის ცნობილი,
მარტოს ფეხზე დგომა
უჭირს,
მხარში უდგას ძმობილი;
ზოგს ქარვა აქვს
სამკაულად,
ზოგსაც კიდევ გიშერი,
თვითონ უნდა გამოიცნო
მე ვერაფერს გიშველი.

([illegible])

უძღვება
შოთა ხოდაშნელი,

მხატვარი
სიმონ ჭიორელი.

## ენის გასატეხი ანბანის რიგით

ა

ალტაცებავ, აკინძულო,
საამაყოვ, სამამულო,
აწყურო და ახალციხევ,
ალავერდო, ანანურო.
ახტალავ და ახმეტაო,
არსიანო-სანანურო,
არაგვო და ალაზანო,
საარაკო-საამურო.

გ

გვირილა ყვითელგულაა
გარუჯულ გორზე დამდგარი,
გადმოუქროლებს გრიგალი
ამ გორებს გააქვთ
დგანდგარი,
განდაგან გულით
გაშლილა,
სხვაგან სად ნახოთ
ამგვარი.
გაგიხარია, ისე მწიფს
გორგალმა გოგრა, გარგარი.

ვ

ვახ[illegible] [illegible]გმა ვაზი ვენახში
გაგვისხლა [illegible]ავის სასხლავით.
ვაშლიდან ვირი აუშვა,
იქვე შეკონა ნასხლავი...
გადაგვიბელა ვერხვები,
უვარგა მუხლი და
მკლავი.
ვერას ვარდები მიართვა
ბრწყინავდა — ველის
ვარსკვლავი.

თ

თემომ რად უთაქა
თაზოს,
რად ვერ ამბობს სათქმელს
თანაც?
თურმე თემომ თაზოს თავის
თეთრ თუთაზე მოატანა!

ლ

ლამაზ ლამას
ლელთან დილით
ლაღად დახვდა
ველზე ლომი,
გალომებით ღრიალებდა,
აელვებდა თვალებს
წყრომით.

საქართველოს რესპუბლიკა
№107, კვირა, 11 მაისი, 1997 წელი.

## პოეზია უპირველეს ყოვლისა

### მურმან ჯგუბურია



ჟურნალმა „ცისკარმა" მიყოლებით, ზედი-ზედ (შარშანდელ 9-10, 11-12 და 1997 წლის 1 ნომერში) გამოაქვეყნა მურმან ჯგუბურიას ლექსები საერთო სათაურით: „გალაკტიონი არ იყო აქ".

აი, რას წერს ავტორი თავისსავე წინასიტყვაობაში:

„ეს ლექსები თითქმის მთელი ჩემი ცხოვრების მანძილზე იწერებოდა. გადავწყვიტე ერთად შემეკრიბა, საერთო სათაური გამომენახა და გამომექვეყნებინა...

„გალაკტიონი არ იყო აქ..." – ეს ჩემი ლექსის სტრიქონია. არა მარტო ის ადგილებია უკვე ჩვენთვის ფასეული, სადაც იყო გალაკტიონი, არამედ – ისიც, სადაც არ იყო გალაკტიონი. თანაც ეს სტრიქონი, უბრალო და პირდაპირი გაგებითაც ზედმიწევნით ზუსტია – მე არასოდეს მინახავს ცოცხალი გალაკტიონი. ვერ მოვესწარი".

გთავაზობთ რამდენიმე ნიმუშს პოეტის ლექსების რკალიდან, რაც მალე ცალკე წიგნადაც გამოიცემა.

#### გალაკტიონი

— აი, აქ იყო გალაკტიონი...
— გალაკტიონი არ იყო აქ...
მეტი წონა აქვს ამ სიტყვებს ახლა,
ვიდრე ზოგ-ზოგის ცხოვრებას აქვს.

ასე იყო და იქნება ასე,
ვერას გააწყობს ვერავინ აქ,
ჩვენ ერთმანეთის არ ვიცით ფასი,
ეს ჩვეულება ქართველებს გვაქვს.

— აი, აქ იყო გალაკტიონი...
— გალაკტიონი არ იყო აქ...
მეტი წონა აქვს ამ სიტყვებს ახლა,
ვიდრე ზოგ-ზოგის ცხოვრებას აქვს.

1978 წ.

#### მურმან ლებანიძეს

... და მოჰგავს იგი არწივის მართვეს,
ვაჟა-ფშაველას ადარებენ ხატებით კიდეც;
თან ცხოვრობს აქვე
და ჩვენთან ერთად ქუჩაში მიდის.
წვიმს უმეტესად მის ლექსებში და ტალახია,
მიტომაც ხშირად აცვია ჯინსი,
დიდთან — დიდია, ბალღთან — ბალღია,
და ავი სენის არა აქვს შიში.
ხან აგონდება ომის ქარი, თოვლი და სუსხი,
უდრენს „ვილისი" ხეობის ღრანტეს,
ზამთრობს ქალაქში და სანუკვარ ამინდებს უცდის
და ემგვანება ის ღვთიდღე შებოლილ სანთელს.

1985 წ.

#### ანა კალანდაძეს

თავისთვის ცხოვრობს იგი მარად, როგორც წესია,
და იშვიათად თუ ნახავს ვინმე,
მაგრამ იმგვარად, როგორც იცი, გაქვს ეკლესია
ან სალოცავი პაწია მდიმე
და აღარ სტუმრობ ხშირ-ხშირად იმას,
რადგანაც გჯერა, იგი შენია —
ასეა იგიც, თან თუ იცი, საბრალოს წვიმაც
აღარ ნამოხდის, — ხომ არაფრის არ გეშინია!

1985 წ.

#### მუხრან მაჭავარიანს

და გადაშლილი აქვს მას მუდამ სიგელ-გუჯრები,
სიტყვას წაკითხულს უსმენს ყურით, სკამიდან დგება:
„საკითხავია, დაიხოცნენ რისთვის გურჯები?"
რაც ხანი გადის, იგი ხალხში ნაკლებად ჩნდება
და ემგვანება დღე-დღე ერისთვის
თავისი მეფის გამო დიდად განაწყენებულს...

1985 წ.

#### ზურაბ წერეთელს

ხომ ყველაფერი იცვლება ირგვლივ,
როგორც გვასწავლის უკვდავი წიგნი,
მაგრამ ქართული წესი და რიგი,
რაცაა გარეთ, ისაა შიგნით,
თუმც ყველაფერი იცვლება ირგვლივ.
შენ ხარჯავ ფერებს, კირსა და დუღაბს,
შენ ხარჯავ ფიქრებს, ახალს და უხმარს,
და თუნდაც მტერი გეხვიოს უხვად,
მუმლი ვერაფერს დააკლებს მუხას,
თუმც ყველაფერი იცვლება ირგვლივ.
და ეს ნაწერიც დარჩება, ვიცი,
რასაც არ უნდა ხატი და ფიცი,
თუმც ყველაფერი იცვლება ირგვლივ.

1996 წ.

#### ჯანსუღ ჩარკვიანს

რა მახსოვს შენგან, დავფიქრდები როდესაც ჩემთვის,
(გამორჩეული ყველასაგან რითი ხარ-მეთქი),
ამესახება ამდაგვარი სურათი თვალწინ:
შენ ფეხზე დგები, ქუდს იხურავ, და როგორც კაცი
მიემართები საშველად კაცთა,
მაგრამ ამგვარი რამე შენზე მრავალგზის თქმულა,
და ისევ ის სჯობს, არაფერი არ ითქვას სულაც,
თუ იმას იტყვი, რაც უკვე გაცვდა.
მე სულ სხვა რამე მომწონს შენი, მართალი გითხრა,
მე მომწონს შენი, შენ რომ გიყვარს ლექსების კითხვა,
სხვისი ლექსების, მეგობრების, უცნობის თუნდაც,
და გახარებაც ისეთი უნდა,
შენ სხვისი კარგით გახარება რომ იცი, ჯიგარ,
და უამურად როცა ჩაგდის კისერში წვიმა,
ამაზე, როგორც კანონი, სდუმხარ.

მაგრამ პორტრეტი არ გამოდის, სტრიქონებს ვატყობ,
ოქრო და ვერცხლის საზღაურად ჩენჩი და ქატო
ვეღარ ივარგებს, ბევრიც რომ გქონდეს,
მე შევთხზავ ახლა სხვანაირ ლექსს, სასტიკს და საშიშს,
თავად რედაქტორს რათა ზზარი გაუჩნდეს ხმაში,
გადაუკითხავს ნახელავს ოდეს,
მაგრამ დავუგდოთ ყური თავად ჩარკვიანს, ჯანსუღს:
„დაბეჭდეთ, როგორც ავტორს უნდა, მე გავცემ პასუხს,
თუკი ემწარა ნაწერი მავანს",
ამოისუნთქა რედაქციამ, გაიხსნა თაღი,
კითხულობს „დათა თუთაშხიას" ქართველი ხალხი,
და არ ვახსენებ, აქ კიდევ მრავალს,
ერთს ვიტყვი მხოლოდ: გაგიმარჯოს, იყავი მაგრად,
ამა წელიწადს შევხვედროდეთ ორივე გაგრას,
როგორც ოდესღაც ერთმანეთს შევხვდით,
და დავსძენ კიდევ: არაფერი მეტი არ გიჭირს,
ღმერთმა შენ კაცად გაგაჩინა, გიბოძა ნიჭი,
ასი რომ გითხრა, ხარ მაინც ერთი!

1997 წ.

#### ვახტანგ კიკაბიძეს

(ერთხელ, საუბარში, ბუბამ ტრაგიკულად დაღუპული რუსი პოეტი რუბცოვი ახსენა)

— რა ბედი ერგო! — შენ მითხარი ერთ რუს პოეტზე,
არც კი მეგონა,
თუ იცნობდი, გითხრა მართალი,
და მაინც როგორ გამიხარდა,
რამ სიშორეზე
ისმის ხანდახან პოეტი და ჭრის სამართალი!

1996 წ.

#### გურამ ლორთქიფანიძეს

(ექსპრომტად)

ა, სული, ა, გული,
ა, კაცი, აგული!

1989 წ.

#### ვალერიან სალღიანს

თავს სვანური ქუდი ჰხურავს,
სვანი დინჯი კაცია,
მთებში ცხოვრობს მთების შვილი
და მაწუბის მსგავსია.
საკუთარი მამული აქვს,
საკუთარი აზრი აქვს
კავკასიას გადაჰყურებს, —
ევროპას და აზიას.

1979 წ.

## უკვდავი ფესვები

### ქართული ხალხური პოეზიის რჩეული ნიმუშები

ქართველ ხალხს მაღალი რანგის უძველესი და უმდიდრესი ხალხური პოეზია აქვს, რომელიც ერთ-ერთ ლიბოდ დაედო საქართველოსთან ასოცირებულ ღვთაებრივ ქმნილებას — „ვეფხისტყაოსანს": ასეთი პოეზიის რჩეულ ნიმუშებს, მიუხედავად დღევანდელი ჩვენი დუხჭირი ცხოვრებისა, ხშირ-ხშირად უნდა ვაქვეყნებდეთ, რათა ამითაც დავძლიოთ ის უმძიმესი განსაცდელი, რაც ბედისწერამ გვარგუნა.

შემოთავაზებული რუბრიკა, რომელსაც მკითხველისთვის კარგად ცნობილი ფოლკლორისტი და ამ საქმის ერთი ლიდერთაგანი ბატონი აპოლონ ცანავა უძღვება, ფრიად მოსაწონია და მკითხველთა მხარდაჭერასაც იმსახურებს.

შოთა ნიშნიანიძე.

## მითოლოგიური ლექს-სიმღერები



1. ცოტა კაცია ამირან, ცოტა სმა-ჭამა ეყოფა,
სადილად ბულა კამეჩი, ვახშმად არც სამი ეყოფა.

* * *

2. ბადრი ქალსა ჰგავს

ლამაზსა,
საქმარედ გამზადებულსა,
უსუპი – ბროლის ციხესა,
თავ-ბოლო გამაგრებულსა,
ამირან– შავსა ღრუბელსა,
საავდროდ გამზადებულსა.

* * *

3. მაშინ სად იყავ, შავ ბადრო,
როცა ჩემ ხმალი წრთებოდა?
ცა სჭექდა, მიწა გრგვინავდა,
სამჭედლო ექანებოდა,
მჭედლები, მემჭედურები
ერთმანეთს ეფარებოდა.
...

4. სანადიროდ წამოვიდნენ,
ამირან და ძმანი მისნი,
გადიარეს ცხრანი მთანი,
მეათენი ალგეთისნი.
მთას ირემი წამოუხტათ,
ოქრო იყო რქანი მისნი,
ამირანმა ისარი ჰკრა,
არ გავარდა ცვარი სისხლი...
უცხო მთაზე კოშკი ნახეს
ანაგები ბროლის ქვისი.
კოშკში ლომი წოლილიყო,
მამრევ არვინ იყო მისი.
იმას თავით რაში ება,
ტორით მიწას სთხრიდა ისი,
მარცხნივ რო შუბი ეყუდა,
წვერი ცასა ჰხევდა მისი...

5. ლომისას ჯაჭვი ჰკიდია

ლომისას ჯაჭვი ჰკიდია,
არავინ იცის ვისია,
შაპხედა ქალმა, შასტირა,
ეგ ჯაჭვი ჩემი ძმისია,
ლაშქრიდან გამოტანილი
შავგვრემანაის ყმისია.
ოქრო დაადნო, შაწურა,
ლომისის საკადრისია,
დაესხნენ, ჯანგმა შაჭამოს,
ალბათ მაგისი ღირსია.

6. ლაშარის ჯვარი

ბერი გიორგი მეც ვიყავ,
ცას ვები ოქროს მიბითა,
გორაზე მედგა ბერმუხა,
ზედ ავდიოდი კიბითა.
ჩემს საყმოთ შემონაზენი
ღმერთთან ამქონდა იქითა.
ხელკრულმა ერისთვის შვილმა
ამომიბრუნა ძირითა.
ჯერ შვილი – შვილით დაელიე,
მერმე ქალ – ქალიშვილითა.

7. ღილე

დიდება შენდა, დიდო ღმერთო!
დიდება შენდა, ზეციერო!
ოქროსი გიდგას სრა-სასახლე,
ზღუდე გაელია ოქროვანი.
ირმები წვანან საძირკველზე.
ქონგურზე სხედან შევარდნები.
შენი ხარები ბუღრაობენ,
რქანი ასხიათ ოქროსანი.
ბნელი თაღები ირღვევიან,
ქვესკნელის ჭერი ირყევიან.
იპნევა ოქროს სამკაული.
ბრიალებს ოქროს დარბაზები.

დიდება შენდა!
დიდება შენდა, ზეციერო!

8. მზე შინა და მზე გარეთა

მზე შინა და მზე გარეთა,
მზევ, შინ შემოდიო!
უყიელია მამალსაო,
მზევ, შინ შემოდიო!..
გათენდი თუ გათენდები,
მზევ, შინ შემოდიო!..
მალე პერანგს შევიკერავ,
მზევ, შინ შემოდიო!

წითელ კაბას შევიკერავ
სანატრელსა, ფრიალასა,
მზევ, შინ შემოდიო.

* * *

9. მზე – დედაა ჩემი,
მთვარე – მამა ჩემი,
მოციმციმე ვარსკვლავები
და და ძმაა ჩემი.
....

10. ცაზე მზე დაბნელებულა,
მთვარე აყრიდა მაქარსა,
მთვარე, ნუ აყრი მაქარსა,
არავინ მოგცემს მაგ ქალსა.
...

11. ზეცას ვიყავ, ზეცა ვნახე,
ვარსკვლავებსა დავენახე,
მთვარემ კაცი მომიგზავნა: –
თუ აქ იყავ, რად არ მნახე!
...

12. გათენებისა ვარსკლავი
ეუბნებოდა ცისკარსა:
– ბევრს ნუღარ დაიგვიანებ,
მალე ამოდი ღვთის მადლსა.
...

13. მზეო, ამოდი, ამოდი,
ნუ ეფარები, გორასა,
სიცივეს კაცი მოუკლავს –
საწყალი აგერ გორავსა.
...

14. მზე ჩადმა ჩამავალია,
ჩავა, ჩაჯდება ბუდესა,
ოქროსი კვერცხი დაუდევს,
ჭუჭული მარგალიტისა.
...

15. ნათელმა მთვარემ ბრძანა:
ბევრით მე ვჯობივარ მზესა,
დაჯდა, დაწერა წიგნები,
ზენა ქარი მიართმევსა.
მზეს რომ კაცი მიუვიდა
მზე ძალიან გაჯავრდესა:
„მე და ვარ და ის ძმა არის,
რად ვძულდებით ერთმანეთსა?"...

ეროვნული ბიბლიოთეკა

## სიმართლე კი ასეთია

...ურატურამ. ჩამოვიდნენ
...ირო პროკურატურის
...მგებელი მუშაკები, შე-
...ს საქმის კანონიერება,
... იგი იმდენად კვალი-
...ურად იყო გამოძიებუ-
...ომ განაჩენი ყველა ინ-
...აში დაადასტურეს.
...ურადღებო და საინტე-
..., თუ როგორ განვითა-
...შემდგომი მოვლენები.
...ი სასჯელს საქართვე-
... ფარგლებს გარეთ იხ-
... მისმა ადვოკატებმა და
...ბლებმა დააყენეს საკი-
...ომ საჭიროა ჩატარდეს
...რტიზა მისი ჯანმრთე-
...ის მდგომარეობის გამო-
...ევად, რადგან ნერვი-
... დაძაბულობამ სტრე-
... ვითარება შეუქმნა.
...რი მოათავსეს სერბსკის
...ობის ფსიქიატრიის სა-
...ერო-კვლევით ინსტიტუ-
... მოეწყო საკმაოდ სერი-
...ი გამოკვლევები. ვინა-
... ექსპერტიზა საკავშირო
...ნიერო-კვლევით დაწე-
...ებაში ტარდებოდა, მის
...ლობას აკონტროლებდა
...ირო შინაგან საქმეთა
...სტრო.
...ოკვლევა დიდხანს გაგ-
...და. ოჯახის მოთხოვნით
...ი ქ. თბილისის რესპუ-
...ურ ფსიქიატრიულ სა-
...მყოფოში გადმოიყვანეს,
... გაგრძელდა მასზე და-
...ვება.

მდეგ, როდესაც ბატონი ედუარდი დაბრუნდა საქართველოში, ის და ოთარი შეხვდნენ ერთმანეთს. ყოველგვარი ეჭვი და დაძაბულობა მოიხსნა. ამ შეხვედრას მე არ დავსწრებივარ, მის დეტალებს ვერ მოგახსენებთ, მაგრამ ვიცი, რომ შეხვედრა შედგა.

ასეთია საქმის ვითარება ბატონ ოთარ ლაზიშვილის სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემასთან დაკავშირებით.

ნათელია, რომ ამ საქმეში პირადული ინტერესები არ მოქმედებდა და არც შეიძლება ემოქმედა, რადგანაც ამის საფუძველი და მოტივი არ არსებობდა. იყო მხოლოდ შინაგან საქმეთა სამინისტროს პრინციპული მიდგომა მნიშვნელოვანი, გახმაურებული საქმის გამოძიებისადმი და მისი ძალისხმევა კანონიერების განმტკიცებისათვის.

ასეთია ბატონ გურამ გვეტაძის აზრი ლაზიშვილების მიმართ აღძრული სისხლის სამართლის საქმეებზე.

შემდეგი ჩემი ვიზიტი ოთარ ლაზიშვილის ოჯახში გახლდათ, სადაც შევხვდი მისი ოჯახის წევრებს: მეუღლეს ქალბატონ ნანას, ქალიშვილს ქალბატონ მაიკოს.

იმასთან შედარებით, რასაც ლაზიშვილების სიმდიდრეზე ლაპარაკობდნენ, დამხვდნენ საკმაოდ მოკრძალებული მაცხოვრებლები.

ქალბატონმა ნანამ მთლიანად დაადასტურა ბატონ გურამის ნაამბობი. მადლიერებით გაიხსენა, რა თბილად და მამაშვილურად მოეფერა ბატონი ედუარდი მის სამი წლის შვილიშვილს, როცა მან წერილი გადასცა და უთხრა, ბებიამ თქვენთან გამომატანაო.

## ...რა, პირადი ...ტრობა არ ყოფილა...

... პერიოდში სასჯელის ვა-
...დაუმთავრდა, მაგრამ სი-
...ცია მის ირგვლივ გარ-
...და. ქალაქში ხმა დაი-
..., იგი იმდენად გაბორო-
...ლია, გამოვა და შურს
... მათ მიმართ, ვინც ცი-
... კრამდე მიიყვანაო. ამის
...ი ექიმები ფრთხილად მო-
...დნენ გამოკვლევების
...ად დასკვნების მიცემას
... ოთარს საავადმყოფოში
... სასჯელის მოხდის შე-
...ც მოუხდა. საკმაოდ ავ-
...რიტეტული ფსიქიატრები
...დნენ მასზე დაკვირვე-
..., მაგრამ სამედიცინო და-
... იგვიანებდა. არც საპა-
...როში იყო და არც კო-
...იაში. საავადმყოფოდან
...ასვლელად სამედიცინო
...კვნა იყო საჭირო.
...ურადღებოა ერთი ამბავი:
...ტანტინე გამსახურდიას
... გახსნისადმი მიძღვნილ
...ინგზე მოვიდა ბატონი
...არდ შევარდნაძე. ოთარ
...ზიშვილის ოჯახი იქვე
... ცხოვრობს. მისმა შვი-
...შვილმა ბატონ ედუარდს
...ცა წერილი, რომელშიც
... განთავისუფლებაში
...მარებას სთხოვდნენ. ბა-
... ედუარდმა მკაცრი რე-
...უცია დაადო წერილს: ში-
...ან საქმეთა და ჯანმრთე-
... დაცვის სამინისტროებს
...ვლა გარკვეულიყვნენ, რა-
... არ ათავისუფლებდნენ
...ი ლაზიშვილს სასჯელის
... გასვლის შემდგომ.
... და ჯანდაცვის მინისტრი
...ონი გელა ლეჟავა შევე-
...ეთ ერთმანეთს. დაინი-
... ავტორიტეტული კომისია.
...რიბა საჭირო ოპერატი-
... ინფორმაცია. დავრწმუ-
..., რომ არაფერი იყო სა-
...გაშო. დაიწერა დასკვნა,
... ოთარის განთავისუფლება
...ლება ოჯახის მეთვალყუ-
...ის ქვეშ, რაც შესრულდა
...ვაც.
...რკვეული პერიოდის შე-

ქალბატონმა ნანამ ისიც მიამბო, რომ ბატონ ედუარდთან შეხვედრის შემდეგ ოთარი აღადგინეს სინთეზურ ნაკეთობათა ფაბრიკაში ინჟინრის თანამდებობაზე, რომ იმდროინდელმა შინაგან საქმეთა მინისტრმა შოთა გორგოძემ იგი კონსულტანტად დანიშნა წარმოების დარგში. ამის შემდეგ კი ოთარის უშუალო ხელმძღვანელობით გეგუთის შრომა-გასწორების ბანაკში გაიხსნა სამკერვალო-სატრიკოტაჟო საწარმო, სადაც მსჯავრდადებულთათვის განსაცმელს კერავდნენ, რამაც ხელი შეუწყო პატიმართა დასაქმებას.

ბატონი ედუარდის ჩარევით, ამ საქმიანობაში მას ბევრი სამინისტრო დაეხმარა.

რა შეიძლება ითქვას თვით ოთარ ლაზიშვილზე?

ძნელია, მოსთხოვო ადამიანს, რომელმაც 15 წელი გაატარა ციხეში, ლოიალური იყოს რეპრესიული აპარატის და იმ სისტემის მიმართ, რომელმაც იგი ამ დღეში ჩააგდო, მაგრამ ოთარ ლაზიშვილის სასახელოდ უნდა ითქვას, რომ მან დაძლია ეს ფსიქოლოგიური ბარიერი და ოჯახს, მეგობრებს, საზოგადოებას კაცთმოყვარე, შურისძიების გრძნობისაგან თავისუფალ ადამიანად დაუბრუნდა.

ერთიც: ოთარის პატიმრობის პერიოდში მისი ოჯახი საზოგადოების ნაწილისაგან გარკვეულ გულცივობას გრძნობდა, ხვდებოდა, რომ ერიდებოდნენ მათთან ურთიერთობას. რას ვიზამთ, ასეც ხდება ხოლმე. ადამიანები, უფრო მეტად უნდა ვუფრთხილდებოდეთ ერთმანეთის სულს, ოჯახს, უბრალოდ, ადამიანობას...

იცვლება დრო, ადამიანები, და ეს ყველაფერი ეპოქის ცვლილებასთან ერთად ხდება. მარადიული, მხოლოდ სიკეთის და სიყვარულის გრძნობაა. და კიდევ... სიმართლის, რომელიც ესოდენ გვჭირდება ყველას.

...ასრული.
...აწყისი იხ. მე-4 გვ.

**ინეზა ანდღულაძე.**

---

*ჩვენში ავტომობილის ტექნიკური დათვალიერებისა და სხვადასხვა გადასახდელის გასტუმრების პრობლემებზე „სრ" უკვე იუწყებოდა (№№104, 106). ახლა ვნახოთ, რა მდგომარეობაა ამ მხრივ სხვა ქვეყნებში.*

# ტექდათვალიერება

## რუსეთში

ავტომოყვარულებს შეუძლიათ გაიხარონ: მოსკოვშიც და ბევრ სხვა ქალაქშიც (იმათ გარდა, სადაც ექსპერიმენტი მიმდინარეობს), ტექნიკური დათვალიერება წლეულს არსებული წესებით განხორციელდება.

მართალია, ბევრი ავტომფლობელი ეძებს და პოულობს შემოვლის გზებს, რათა ტექპასპორტსა და ტალონში სანუკვარი აღნიშვნა მოიპოვოს. ვიღაც ნაცნობ ინსპექტორებს ეძებს, ვიღაც უბრალოდ იმედოვნებს, რომ „მწვანე" ასიანი კუპიურით მოინადირებს უცნობი მილიციელის გულს. მოსკოვში „დაუთვალიერებელი დათვალიერების" ფასი 250-დან 500 ათას რუბლამდე მერყეობს.

დიახ, ავტოინსპექტორთა შორისაც მრავლად არიან „სამსახურის გაწევის" მოყვარულნი. მათს აღზრდა-გამოსწორებას აზრი არა აქვს, მაგრამ ნუ დაგვავიწყდება მთავარი: იღებენ იმათგან, ვინც იძლევა.

ამიტომ, კარგად დაიხსომეთ პირველი წესი: ნუ გააჯანჯლებთ ტექდათვალიერებას! ჯერ კიდევ გაქვთ დრო, გაიაროთ იგი ხანგრძლივი მოლოდინისა და რიგების გარეშე. როდესაც ტექდათვალიერება დასასრულს მიუახლოვდება, საბაზრო ფასი დაედება თვით რიგში დგომასაც. მაგალითად, ვაგონშემკეთებელ სადგურში, სადაც უცხო მარკებს ამოწმებდნენ, ახალგაზრდა „ბიზნესმენები" რიგში ადგილებს ყიდდნენ 50-100 დოლარად უბრალოდ იმის გულისათვის, რომ სადგურის ტერიტორიაზე შესულიყავით.

მეორე რჩევა ეხება უშუალოდ ავტომობილის მომზადებას ტექნიკური დათვალიერებისათვის. აიღეთ ხელში „გზაზე მოძრაობის წესები" და შეიარეთ ავტოსახელოსნოში ან ნაცნობ ზეინკალთან. წესების დანართებში აღნიშნულია ტექნიკური პარამეტრები, რომელთა მიხედვითაც ცნობს ავტოინსპექცია მანქანას ექსპლოატაციისათვის ვარგისად ან უვარგისად. იგივე პარამეტრები მოწმდება ტექნიკური დათვალიერების დროსაც. ამიტომ, თუ მანქანაში თვალშისაცემ ადგილზე გდებათ წესები, მაშინ შემმოწმებელი ავტოინსპექტორი დაგიფასებთ კომპეტენტურობას ტექნიკური დათვალიერების საკითხებში და არ გიშარებთ, ვთქვათ, იმის გამო, რომ მანქანაში არა გაქვთ მინიატურული მტვერსასრუტი.

ინსპექტორები განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევენ:

სამუხრუჭო სისტემის მდგომარეობას. მოწმდება სამუხრუჭო გზა ასფალტზე ან ბეტონზე; ხელის მუხრუჭის საიმედოობა (მსუბუქი მანქანებისათვის 23 გრადუსამდე ფერდობზე), ჰიდრაელიკური სამუხრუჭო ამძრავის ჰერმეტულობა, პოჭოჭიკის („люфта") არსებობა საჭის მოწყობილობაში, მუქხელსაწყოები, მინის საწმენდელების მუშაობა, საბურავების მდგომარეობა და კომპლექტურობა, კარის კლიტეების, სავარძელთა რეგულირების მექანიზმების გამართულობა, უსაფრთხოების ღვედები, სპიდომეტრი და ასე შემდეგ.

აქვე დავძენთ, რომ ტექნიკური მოთხოვნები ავტომობილებისადმი ჩვენში გაცილებით უფრო მკაცრია, ვიდრე ზოგიერთ სხვა ქვეყანაში, მაგრამ შეეცადეთ, მანქანა უქრთამოდ შეამოწმებინოთ.

## საფრანგეთში

კერძო ავტომობილების ტექნიკური დათვალიერების გავლა ზუსტად არის რეგლამენტირებული. ავტომობილის „სიცოცხლის" პირველი ოთხი წლის მანძილზე, მიუხედავად იმისა, გამოიცვალა მან პატრონი თუ არა, ტექნიკური დათვალიერება არ წარმოებს. აქ ითვლება, რომ ოთხი წლის განმავლობაში მძღოლი უბრალოდ ვერ ჩააგდებს თავის რკინის რაშს ისეთ დღეში, რომ საფრთხე შეუქმნას სხვა ავტომობილებს. პირველი ტექდათვალიერება უნდა გაიაროთ ავტომობილის შეძენის მეოთხე წლისთავიდან ერთიორი კვირის შემდეგ, თორემ გადაგხდებათ ჯარიმა 300-400 ფრანკი (55-65 დოლარი).

ტექნიკური დათვალიერება წარმოებს სპეციალიზებულ სახელოსნოებში წელიწადში ერთხელ. იგი 23-დან 30-მდე წუთს გრძელდება და ამ ბოლო დრომდე ითვალისწინებდა შემოწმებას 42 ძირითადი პარამეტრის მიხედვით. ცოტა ხნის წინათ მათი რიცხვი გაიზარდა. ტექნიკური დათვალიერება 60-65 დოლარი ჯდება. ამის შემდეგ ავტომობილს ტექპასპორტში ჩაუწებებენ სათანადო ქაღალდს. აგრეთვე, აძლევენ პატარა ქაღალდის კვადრატს სპეციალური აღნიშვნით, რომელიც შიგნიდან უნდა მიაკრას საქარე მინას მარჯვენა მხარეს, „წარჩინების" სხვა ისეთი ნიშნების გვერდით, როგორიც არის, ვთქვათ, სადაზღვევო კომპანიის ტალონი, აგრეთვე, საავტომობილო გადასახადის გასტუმრების მრგვალი ნიშანი.



## იაპონიაში

წელიწადში ერთხელ იაპონელ ავტომობილისტებს უწევთ ჯიბეზე გაიკრან ხელი: გადაიხადონ ტექდათვალიერებისათვის 1000(!) აშშ დოლარზე მეტი. საქარე მინაზე შესაბამისი ნიშნის უქონლობას მოჰყვება ქულების დაკლება მძღოლის ტალონში. იმას, რომ დათვალიერების დრო მოვიდა, თავაზიანად შეგახსენებთ ტექნიკური მომსახურების სადგური, სადაც უკანასკნელად გაიარეთ ტექდათვალიერება. თუ არავითარი სერიოზული უწესრიგობა არ აღმოჩნდა, შეამოწმებენ და „გაახალისებენ მანქანას", გამოგიცვლიან საჭირო დეტალებს „ტექდათვალიერების" ტალონით – დაახლოებით 1000 დოლარად. აქვე გაგიფორმებენ სავალდებულო დაზღვევასაც 300 დოლარად. და, ბოლოს, წაიყვანენ მანქანას სახელმწიფო კონტროლის გასავლელად სატრანსპორტო გადაზიდვების სახელმწიფო სამსახურში – 100 დოლარი მომსახურებისათვის, პლუს კიდევ 100 დოლარი საკონტროლო შემოწმებისათვის და მხოლოდ ამის შემდეგ მიეცემა ავტომფლობელს სანუკვარი ნიშანი „სპიკერი" – ნებართვა წლის მანძილზე მგზავრობისათვის. სანამ დათვალიერება მიმდინარეობს, მოგეცემათ მეორე მანქანა. ალტერნატიული ვარიანტი – შეგიძლიათ, თვითონ მოამზადოთ მანქანა და გაიაროთ ტექნიკური დათვალიერება. ეს დაგიჯდებათ ნაკლები ფული, მაგრამ მეტი დრო. იაპონელები ხშირად მეტ ხარჯს ამჯობინებენ – გადაიხდი და არხეინად ხარ.

ადგილობრივ ავტოინსპექციას, როგორც ხედავთ, ტექდათვალიერებასთან არავითარი დამოკიდებულება არა აქვს.

რა თქმა უნდა, იაპონიაშიც არიან ბოროტი დამრღვევნი, რომლებიც არ გადიან ტექდათვალიერებას, მაგრამ ეს არ არის ხელსაყრელი. თუ ავტომფლობელი მანქანის გაყიდვას დააპირებს, ტექნიკური დათვალიერების აღნიშვნის უქონლად მის მანქანას არავინ იყიდის, ხოლო არარეგულარული შემოწმება დაღს დაასვამს ფასს. იგი საგრძნობლად დაეცემა.

## გერმანიაში

არსებობს, ასე ვთქვათ, ორმაგი კონტროლი პირადი ავტომობილების ტექნიკური მდგომარეობისადმი. პირველი საფეხურია „ტექნიკური ინსპექცია". იგი შეახსენებს და აფრთხილებს ავტომფლობელს, რომ უნდა შეამოწმოს ზეთის დონე, სამუხრუჭე ხუნდების, საჭის სვეტის, განათების მოწყობილობის მდგომარეობა და ა.შ. „ტექნიკური ინსპექციის რეკომენდაციები არ არის სავალდებულო. მაგრამ მათი შესრულება დაგეხმარებათ, საიმედო მდგომარეობაში იქონიოთ ავტო. სხვათა შორის, ბევრ მანქანაზე სპეციალური ინდიკატორი გაცნობებთ: დროა, ავტომობილი „გაასინჯოთ". ამის გაკეთება შეიძლება ნებისმიერ ბენზინგასამართ სადგურში, ნებისმიერ ავტოსერვისში. თანაც, გამოგისწორებენ წვრილმან დეფექტებს.

თვით ტექდათვალიერების გავლა შეიძლება სპეციალურ სადგურში ან შესაბამისი ნებართვის მქონე ბენზინის გასამართ პუნქტებში. აქ მანქანას წესრიგში მოგიყვანენ, შეგიკეთებენ. მფლობელის იქ ყოფნა არ არის საჭირო, მას გადასცემენ ანგარიშს, სადაც ზუსტად არის ჩამოთვლილი რემონტის სახეობანი, აგრეთვე, დაუბრუნებენ გამოცვლილ დეტალებს.

ტექნიკური დათვალიერებისათვის უშუალოდ გადასახდელი დამოკიდებულია მანქანის კლასზე, დათვალიერების ადგილზე და შეადგენს საშუალოდ 90-130 მარკას. ტექნიკური დათვალიერების გავლის შემდეგ სანომრო ნიშანზე ამაგრებენ პატარა მრგვალ „ვინიეტს", რომელზეც ზუსტად არის აღნიშნული მომდევნო ტექდათვალიერების ვადა. და ვაი იმას, ვინც დააგვიანებს – ჯარიმის გარდა მძღოლი დაისჯება მართვის უფლების ჩამორთმევით. „ალკვეთის" ვადას პოლიცია განსაზღვრავს. და ტყუილად ნუ ეცდებით მის მოქრთამვას.

## გზა, ავტომანქანა, საგზაო პოლიცია

საგზაო პოლიციის მთავარ სამმართველოში 5 მაისს გამართული ღია კარის დღეზე შეკრებილებმა ძირითადად სამგზავრო ავტოტრანსპორტის მუშაობასთან დაკავშირებულ პრობლემებზე გაამახვილეს ყურადღება.

ავტომფლობელებს ეცნობათ, რომ მთავარი სამმართველოს დირექტიული წერილით განისაზღვრა აღნიშნული კატეგორიის სატრანსპორტო საშუალებათა ტექნიკური მდგომარეობის კონტროლის დამატებითი ღონისძიებების განხორციელება.

როგორც ცნობილია, საქართველოს ტრანსპორტის სამინისტროსა და ტრანსპორტის დეპარტამენტის ბრძანების თანახმად, დაშვებულია მიკროავტობუსებით საქალაქთაშორისო სამგზავრო რეისების შესრულება, შესაბამისად, კიდევ უფრო აქტუალური გახდა მათი ტექნიკური მზადყოფნის შემოწმება – დიაგნოსტიკურ სადგურებში ყოველთვიური ტექდათვალიერების ჩატარება.

### პრობლემები, პრობლემები

ამგვარი ღონისძიება, აღინიშნა ღია კარის დღეზე, ხელს შეუწყობს მოძველებული ლიცენზირებული სამგზავრო ტრანსპორტის ფილტრაციას და ამ ავტოპარკის თანდათანობით განახლებას. ეს კი აუცილებელია, რადგან აღნიშნული ტრანსპორტის საკმაოდ დიდი ნაწილის ტექნიკური მდგომარეობა ისეთია, რომ დაუშვებელია მათი ექსპლოატაცია, განსაკუთრებით, სამგზავროდ გამოყენება.

დაინტერესებულ პირებს განემარტათ, რომ ლიცენზირებული სამგზავრო ავტოტრანსპორტის ტექნიკური დათვალიერება სათანადო ფირნიშის გაცემით, ჩვეულებრივ, წელიწადში ორჯერ ჩატარდება დიაგნოსტიკურ სადგურებში, ამ ტრანსპორტის აღრიცხვის ადგილის მიხედვით, ხოლო ყოველთვიური შემოწმებები – საგზაო პოლიციის დიაგნოსტიკურ სადგურებში, ტერიტორიულად მათი დასაქმების ადგილზე. ამ შემთხვევებში (ყოველთვიური შემოწმებების დროს) ავტომფლობელი არ გადაიხდის საგზაო პოლიციის მომსახურების საფასურს.

იმ ქალაქებში კი, სადაც რამდენიმე დიაგნოსტიკური სადგური მოქმედებს, ყოველთვიური ტექნიკური დათვალიერება ჩატარდება: თბილისში – კახეთის გზატკეცილზე, 69; ქუთაისში – ნიკეას ქუჩა, 11; ზუგდიდში – სოხუმის ქუჩა, 46; გორში – ცხინვალის გზატკეცილის პირველი კილომეტრი.

ღია კარის დღეზე ისაუბრეს დედაქალაქში სამგზავრო-სამარშრუტო ტრანსპორტის სიჭარბით წარმოქმნილ სირთულეებზე (ჩახერგვები, საავარიო სიტუაციები და სხვა), რაც უწინარესად გამოწვეულია იმით, რომ სამგზავრო მარშრუტები განისაზღვრება მგზავრთა ნაკადების ინტენსიურობის წინასწარი შესწავლისა და გაანალიზების გარეშე.

დიდ სირთულეებს ქმნის ისიც, რომ სამგზავრო გადაზიდვებს აწარმოებენ ფრიად საეჭვო ტექნიკური მდგომარეობის არალიცენზირებული ტრანსპორტითაც, რომელთა რაოდენობა ამ ბოლო ხანს საკმაოდ გაიზარდა და თუ მას სათანადო ყურადღება არ მიექცა, კიდევ უფრო იმატებს.

ერთი და იმავე მარშრუტებზე სამგზავრო ტრანსპორტის ამგვარი სიჭარბე, გარდა იმისა, რომ აფერხებს ქალაქის ქუჩებში ნორმალურ მიმოსვლას და ართულებს საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების უზრუნველყოფას, და, არცთუ იშვიათად, მძღოლებს შორის მეტად არასასიამოვნო „გაწევ-გამოწევის" მიზეზიც ხდება. ხშირია შემთხვევა, რომ იყენებენ კონკურენციის აკრძალულ ხერხებსაც, რასაც განსაკუთრებულად ამ ბოლო ხანს დედაქალაქში შემოყვანილი „მიცუბიშის" მარკის ტაქსების მძღოლები განიცდიან კერძო სამგზავრო ტრანსპორტის „კომანდორების" მხრიდან...

ამ პრობლემებთან დაკავშირებით, ღია კარის დღეზე დამსწრეთა წინადადებებისა და განცხადებების საფუძველზე, საგზაო პოლიციის მთავარი სამმართველოს ხელმძღვანელობამ და ტრანსპორტთან დაკავშირებული ორგანიზაციების წარმომადგენლებმა შეიმუშავეს შექმნილი მდგომარეობის უახლოეს პერიოდში გაუმჯობესების რეკომენდაციები.

**ავთანდილ გორდეზიანი.**




### იყიდება

სასწრაფოდ იყიდება სამგორის მეტროსთან ახლოს – სამგორის დასახლების 30-ე კორპუსში პრივატიზებული, ლვოვის პირველი პროექტით აშენებული, მაღალჭერიანი, სამოთახიანი ბინა ლოჯიით, აივნით, ტელეფონით, რკინის კარებით, 9-სართულიანი სახლის მე-5 სართულზე, ფასი 13 000 ლარი ტელ. 37-37-74.

იყიდება სამოთახიანი ბინა 44 კვ. მ. საცხოვრებელი ფართით, ლოჯიით, დიდი სამზარეულოთი. ბინა კაპიტალურად გარემონტებულია. აქვს სარდაფი და ავტოფარეხი, მდებარეობს ვარკეთილის მეტროსთან ახლოს, წულუკიძის ქ. № 23 ა. ტელ: 78-52-88, ვიტალი.

იყიდება ვაკეში, ფალიაშვილის ქ. № 61, ხუთოთახიანი მაღალჭერიანი ბინა ორსართულიანი სახლის მაღალ ბელეტაჟზე – ლოჯიით, სარდაფით, გარაჟით, საკუთარი ეზოთი. საერთო ფართობი 140 კვ. მ. ოთახები 83 კვ. მ. საწყისი ფასი 75 ათასი დოლარი. ტელ: 22-03-68.

იყიდება ან იცვლება სასწრაფოდ 3-ოთახიანი ბინა ავლაბარში, მისამართი: ფერისცვალების შეს. № 9, მე-2 სართული (ყოფილი ფიგნერის ქუჩა), მეტრო ავლაბართან, უნივერმაღის უკან. ბინა პერსპექტიულია ინდივიდუალური მშენებლობისათვის. საწყისი ფასი 10 ათასი დოლარი. გაცვლა შეიძლება დიდ დიღომში, დიღმის მასივში ან ვაშლიჯვარში. ტელ: 31-40-17, საღამოს საათებში.

ვყიდი კუმისში აგარაკს კაპიტალური სახლით. ნაკვეთის ფართი 1800 კვ.მ. ტელ: 29-02-63, ავთო.

იყიდება არასტანდარტული, ოთხოთახიანი ბინა საერთო ფართით 220 კვ.მ. საბურთალოს ცენტრში. აქვს დიდი სარდაფი, მანქანის სადგომი, ტელეფონი. ბინა გარემონტებულია. ტელ: 37-77-50.

იყიდება სამსართულიანი საკუთარი სახლი ნინოშვილის ქუჩაზე. სახლი ახალი აშენებულია, წაბლის კარ-ფანჯრით,იტალიური სანტექნიკით. აქვს სარდაფები და გარაჟი. საუკეთესოდ არის გარემონტებული. საწყისი ფასი 85 000 ათასი დოლარი. ტელ: 95-50-35.

იყიდება შუა წყნეთში, ორსართულიანი კორპუსის პირველ სართულზე ოთახნახევრიანი, პრივატიზებული, იზოლირებული, ნათელი კუთხის ბინა მიშენების პერსპექტივით. ბინის საერთო ფართია 45 კვ.მ. იგივე ფართის სარდაფის პერსპექტივით, ტელეფონით, საბოსტნე და ავტოსადგომის ადგილებით. ფასი 9300 დოლარი. ტელ: 29-86-55.

სასწრაფოდ იყიდება ოროთახიანი, დიდი ფართი ბინა ორთაჭალის მიმდებარე ტერიტორიაზე, ბალნეოლოგიური კურორტის გვერდით მდებარე ქუჩაზე, 4-სართულიანი ბინის მე-3 სართულზე. ბინას ესაჭიროება კოსმეტიკური რემონტი. ბინა იზოლირებულია. ფასი 9000 დოლარი. ტელ: 99-30-00, იკითხეთ მერაბი.

ვყიდი არასტანდარტულ 3-ოთახიან ბინას გამსახურდიას ქ. № 33 (ყოფილი პეკინის ქ.) მე-2 სადარბაზო, მე-4 სართული, ბინა 9. საწყისი ფასი 35000 დოლარი. ტელ: 38-99-40.

იყიდება შეღავათიან ფასში 3-ოთახიანი ბინა თავისი სათავსოებით, ტელეფონით ქალაქის ცენტრში. ფურცელაძის 13. ტ. 98-49-56. მაყვალა. ანზორი.

იყიდება ან ქირავდება 5-ოთახიანი გარემონტებული ბინა უზნაძის ქუჩაზე კაპიტალურ სახლში. ოთახების ფართობი 30X30X30X22X18. გაქირავების ფასი 1.500 ლარი, გასაყიდი – 150.000 ლარი. შეიძლება გადარიცხვითაც. ტელ: 95-61-62.

იყიდება ვაკეში 3-ოთახიანი, კერძო ბინა. ფართი – 56 კვ.მ. პატარა ეზოთი. ბინა ბელეტაჟზეა. მისამართი. რაზმაძის ქ. № 35. ფასი 50. 000 დოლარი. ტელ: 38-37-86, ნელი.

იყიდება 3-ოთახიანი, ჩეხური პროექტის, კუთხის ბინა დიდი მიშენებით. ფართი 150 კვ.მ. აქვს ტელეფონი, გარაჟის ადგილი. მისამართი: ნუცუბიძის მეორე მიკრორაიონი, I კვარტალი, სახლი № 7, მე-2 სართული. ბინა სარემონტოა. საწყისი ფასი 22.000 დოლარი. ტელეფონები: 37-13-45 შოთა; 23-57-65, ზურა.

ყვიდი ან ვაქირავებ ოროთახიან, არასტანდარტულ ბინას. ოთახების ფართი 44-24 და 20 კვ.მ. ლოჯი 24 კვ.მ. სამზარეულო 10, ჭერი 4 მ. აქვს სარდაფი. მისამართი: უზნაძის 79/81, II სართ. IV სადარბაზო. ტელ: 22-72-81, 38-37-86, მაია. საწყისი ფასი 33.000 დოლარი.

იყიდება ორსართულიანი სახლი 1800 კვ.მ. ბაღით სოფელ ნიჩბისში (მცხეთის რაიონი). დარეკეთ: 22-49-29.

იყიდება ოთახნახევრიანი, სუფთა ბინა ტელეფონით, გარაჟით, გლდანში 4 მ/რ. 107 კორპ. II სადარბაზო, მე-8 სართული. ტელეფონები: 67-01-10, აზიკო, ნანა, 2 საათის შემდეგ. ფასი 6000 დოლარი.

იყიდება ლერმონტოვის ქუჩაზე, 3-ოთახიანი, არასტანდარტული ბინა ბელეტაჟზე, 70 კვ.მ. ფართობით – 30, 16, 14. საძინებელში არის კედლის კარადები ანტრესოლებით, 2 კონდენციონერით. ტუალეტით და წყლის გამაცხელებელი ბაკით. ეზოში დიდი აბანოა, ყველა წერტილებით და კარადებით. ფასი შეთანხმებით. ტელ: 98-76-27, ეთერი.

### ქირავდება

ქირავდება კაპიტალურად აშენებული ავტომანქანის სადგომი, რკინის კარებით. ავტოსადგომში შეყვანილია წყალი, არის სან-გაყვანილობა. ავტოსადგომი გამოიყენება საწყობადაც. მისამართი: ვაჟისუბნის ქ. 12, (საბურთალოს ბაზართან ახლოს). ტელ: 37-37-09.

ვაქირავებ ოროთახიან ბინას ტელეფონით, ავეჯით, 8-სართულიანი სახლის მე-2 სართულზე. მისამართი: ვაჟა-ფშაველას მე-4 კვ. 1 ა კორპ. ტელეფონი: 30-09-70. ფასი შეთანხმებით.

ქირავდება (მხოლოდ უცხოელებზე) ვერაზე სასტუმრო „საქართველოს" გვერდით, შანიძის ქ. № 8-ში, 4-სართულიანი სახლის მე-4 სართულზე, აივნებით, ბუხრით, ტერმექსით, ავეჯით, ტელეფონით, ვიდეო და აუდიო აპარატურით კეთილმოწყობილი ბინა 170 კვ. მეტრის ფართით. ფასი შეთანხმებით. ბინა ამჟამად უცხოელებითაა დაკავებული და მალე განთავისუფლდება. ტელ: 30-10-98, იკითხეთ მალხაზი ან 30-04-09, იკითხეთ ლილი.

ქირავდება სამოთახიანი ბინა (იგი ცარიელია) ტელეფონით, ცოტნე დადიანის ქუჩაზე, მეტრო „ნაძალადევთან", ჩეხური ტიპის ცხრასართულიანი სახლის მეშვიდე სართულზე. ფასი შეთანხმებით. მსურველებმა დაგვირეკეთ: 66-86-00.

ქირავდება კეთილმოწყობილი, ოთხოთახიანი, არასტანდარტული ბინა სოლოლაკში, სათავსოებით, ორი ბუხრითა და ტელეფონით, სამსართულიანი სახლის პირველ სართულზე, სასურველია – უცხოელზე. ფასი 300 დოლარი. ტელეფონი 95-35-89. ტოპა ან ანი.

ქირავდება ოროთახნახევრიანი ბინა დიდი ლოჯიით, ავეჯითა და ტელეფონით საბურთალოზე (მიცკევიჩის 14, ბინა 16). ფასი 200 ლარი. ტელ: 38-40-10, 38-41-85.

ქირავდება ერთოთახიანი, სუფთა, კეთილმოწყობილი ბინა ტიციან ტაბიძის 39-ში, ვაკის პარკთან ახლოს. ბინაში არის ავეჯის ნაწილი: მაცივარი, მაგიდა, სკამები და ა. შ. დარეკეთ ტელ. 34-73-54.

ვაქირავებ ოროთახნახევრიან ბინას ლოჯიით, ბარნოვის ქუჩაზე. ტელ: 23-35-25, რუსიკო.

ქირავდება ერთოთახიანი, სუფთა, ტელეფონიანი ბინა ვაჟა-ფშაველას გამზირზე, VI კვარტალში, ტელ: 30-25-81.

ვაქირავებ ერთოთახიან, იზოლირებულ ბინას დიღომში, გამზირზე, მეტროსთან ახლოს. ტელეფონით. დარეკეთ: 34-37-31. ფასი შეთანხმებით.

ქირავდება ოროთახიანი ბინა დიდი ლოჯიით, ავეჯით, ტელეფონით 250 ლარად ან 200 დოლარად. ბინა არის საბურთალოს რაიონში, მიცკევიჩის ქ. 14, ბინა 16. ტელ: 38-40-10 ან 38-41-85, დეკანოზ ამირან.

სამოთახიანი, არასტანდარტული ბინა მუდმივი ელექტროდენით, ტელეფონით, მანქანის სადგომით, ცოტნე დადიანის ქუჩაზე (მეტრო ელექტროდეპო). ფასი 130 დოლარი. ტელ: 51-14-39.

ქირავდება ერთოთახიანი, გარემონტებული ბინა ავეჯით გამსახურდიას გამზირზე, მეტრო „პოლიტექნიკურთან". ბინას აქვს ტელეფონი. ფასი შეთანხმებით. ტელ: 93-19-95.

### სხვადასხვა

იყიდება საძილე გარნიტური „ლუდოვიკო 14" კარგ მდგომარეობაში, ფასი შეთანხმებით. ტელ: 38-60-02.

იყიდება 3,5კვტ-იანი გენერატორი, მომუშავე ბენზინზე, საჭიროებს მცირეოდენ შეკეთებას. ფასი შეთანხმებით. ტელ: 61-53-54 საღამოს საათებში.

იყიდება როგორც ნაღდ ან[გარიშ]ზე, ასევე გადარიცხვით რ[...]ლი სამზარეულო, ვიდეო მა[...]ფონი „პანასონიკი", იაპონ[...]ლევიზორი „პანასონიკი" – [...]ნი 72 დიაგონალი, ტელევიზო[რი] [...]ნოსტი" 406 დეციმეტრული [...]თორი 33 დიაგონალი, კონდიცი[ონერი] [...]ბპ 1500, საბეჭდი მანქანა „[...]ვიცა" ქართული შრიფტით, [...] საკერავი მანქანა „პოდოლ[...]მ, წყლის გამაცხელებელი „[...]რი" სუპერი – ისრაელის [...]ვება, ტრანზისტორი „ოკეან[...]" [...]შაობს ელემენტებზე და 220 [...] ფასი შეთანხმებით. ტელ. 7[...]

იყიდება არყისა და ღვინის [...]თლების იტალიური ჩაჩები. [...] 38-76-15.

იყიდება ორლულიანი სანა[დირო] თოფი „ტოზ-63" სრული აღჭ[ურვი]ლობით: ბუდე, პატრონაჟი, [...]ები, საწმენდი. ფასი 220 დოლ[არი]. ტელ: 98-25-63.

ვასწავლი გიტარაზე დაკვრ[ას]. [ფა]სი შეთანხმებით. დარეკეთ: 9[...]55. კესო.

იყიდება დიდი საბჭოთა ე[ნციკ]ლოპედიის მეორე გამოცემის 5[...] [...]მი, ფასი 825 ლარი. დარეკე[თ სა]ღამოს 6 საათის შემდეგ – [...] 93-63-53.

იყიდება ყავისფერი იაკა[...] (პალისანდრის) ხისგან დამზა[დებუ]ლი კაბინეტის როიალი „ბუსტა[...]ისლერი" და შავი ფერის კარ[...] შენახული ბუფეტი (ძველი [...]) ფასი შეთანხმებით. ტელ: 37-4[...]

### გირავდება

გირავდება სასწრაფოდ გლ[და]ნის რაიონში ოროთახიანი, [...]თარი სახლი ორი წლის ვად[ით]. ფასი 1200 დოლარი. ტელ: 62-[...]64, საღამოს 8 საათის შემდეგ, [იკი]თხეთ ალეკო.

### იცვლება

ვცვლი ფონიჭალიდან მუხიან[ში], გლდანში ან თემქის დასახლებ[აში] (ფონიჭალა-3, 8-სართულიანი კო[რ]პუსი, I სართული, ბელეტაჟი) 4-ო[თა]ხიან ბინას გისოსებით, რკინის [კა]რებით. საცხოვრებელი ფართია [...] კვ. მ. თავის სარდაფით, მიწის [ნაკ]ვეთით. მისამართი: ფონიჭალ[ა,] მე-10 კორპუსი, ბინა 3, გოგრ[...]ანი, დარეკეთ: 39-14-03, სამუშა[ო სა]ათებში; 51-59-95, იკითხეთ ლ[...]

### ავტომანქანები



ვცვლი ან ვყიდი 1989 წლის [...]ლო გამოშვების **BMW** 525 (საწ[ყისი] ფასია 12500 აშშ დოლარი) მ[...]ბამისი ფასის ბინაში. დარეკეთ: [სა]ღამოს 8-დან 10 სთ-მდე. ტელ: [...] 40-95.

იყიდება ავტომანქანა „მოსკ[ვი]ჩი" 412 მარკის, 1980 წელს გა[მო]შვებული. ფასი შეთანხმებით. ტე[]ლეფონი 37-51-91.

ნაღდ ანგარიშზე შევიძენ[...] წლის ავტომანქანებს: „ჟიგულ[ი] 2104", „ტავრიას", „რენო-მოსკვი[ჩი]". ტელ: 98-25-63.

სასწრაფოდ იყიდება ავტომანქ[ანა] ზაპოროჟეცი. ფასი 300 ლარი. ტ[ელ]: 51-14-35.

იყიდება „ალფა-რომეო-33" პიკ[...] ავტომანქანა, 1987 წლის გამოშვ[ების], სველი ასფალტის ფერი. ძალ[ა]ან კარგ მდგომარეობაშია. მანქანა [...] დასაფორმებელია. საწყისი ფა[სი] 3500 დოლარი. ტელ: 23-57-65, [...]რა, საღამოს საათებში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# სპორტი

## „საქართველოს რესპუბლიკის“ სპეციალური გვერდი

## მოვლენის შემდეგ



### ჭადრაკი

## ევროპის გუნდურ ჩემპიონატზე

რუსეთის მოჭადრაკეთა ნა-[...]რებს, იმის მიუხედავად, ითა-[...]მებენ თუ არა ყველაზე ცნო-[...]ილი დიდოსტატები (კასპა-[...]როვი, კარპოვი, კრამნიკი და [...]სვა), ყოველთვის გააჩნია ღი-[...]სეული შემადგენლობა. ამჟა-[...]მადაც პულაში (ხორვატია) მათ [...]რიგებში არიან ძალიან ძლი-[...]ერი მოჭადრაკეები: ევგენი ბა-[...]რეევი, ალექსანდრე ხალიფმა-[...]ნი, ალექსეი დრეევი, პეტრე [...]სვიდლერი, ვადიმ ზვიაგინცევი.

საქართველოს ნაკრებს, მას [...]შემდეგ, რაც ოჯახური პირო-[...]ბების გამო პულა დატოვა გე-[...]ნადი ზაიჩიკმა, უცვლელი შე-[...]მადგენლობით (ზურაბ აზმაი-[...]პარაშვილი, გია გიორგაძე, ზუ-[...]რაბ სტურუა, გიორგი ყაჭეი-[...]შვილი) უხდებათ მეტოქეებთან [...]შეჯიბრება. გასაგებია, რომ [...]ჩვენმა ვაჟებმა ამჯერადაც ვერ [...]მოახერხეს რუსეთის ბარიერის [...]გადალახვა და დამარცხდნენ [...] 1:3.

ქალთა გუნდმა ფრედ – 1:1 [...]დაამთავრა შეხვედრა უნგრე-[...]ლებთან.

### კრივი

## ასპარეზობენ სტუდენტები

ატლანტის ზაფხულის ოლი-[...]მპიური თამაშების დამთავრე-[...]ბისთანავე, აიბას (კრივის მსო-[...]ფლიოს მოყვარულთა ფედერა-[...]ცია) საგანგებო სხდომაზე გა-[...]დაწყდა, რომ ევროპის, მსო-[...]ფლიოს ჩემპიონატები 3 რაუ-[...]ნდის ნაცვლად – ხუთი ორწუ-[...]თიანი რაუნდისაგან შემდგა-[...]რიყო. აი, ასეთი სისტემით ტა-[...]რდება ყველა ოფიციალური ჩე-[...]მპიონატები და საერთაშორისო [...]ტურნირები, მათ შორის საქა-[...]რთველოს უნივერსიადის პრო-[...]გრამაში შემავალი სტუდენტ-[...]მოკრივეთა ასპარეზობაც, რო-[...]მელიც გუშინ ვერის ბაღში მდე-[...]ბარე დარბაზში ჩატარდა.

წონითი კატეგორიების მი-[...]ხედვით უნივერსიადის გამა-[...]რჯვებულები გახდნენ: 48 კგ. [...]კობა აივაზაშვილი (სტუ), 51 კგ. კობა ჩაკვეტაძე (საქა-[...]რთველოს სპორტის აკადე-[...]მია), 54 კგ. მიხეილ შიუკაშ-[...]ვილი (თელავის პედაგოგიუ-[...]რი ინსტიტუტი), 57 კგ. ლაშა [...]ოსელიანი (სტუ), 60 კგ თე-[...]იმურაზ ლაგაზიძე (თელავის [...]პედაგოგიური ინსტიტუტი), 63,5 კგ. მამუკა შომიაშვილი (თე-[...]ლავის პედაგოგიური ინსტი-[...]ტუტი), 67 კგ. გიორგი კაპა-[...]ნაძე (თსუ), 71 კგ. გოგიტა სა-[...]ჭაპურიძე (თელავის პედაგო-[...]გიური ინსტიტუტი), 75 კგ. ნი-[...]კოლოზ დავლიანიძე (საქა-[...]რთველოს სპორტის აკადემია), 81 კგ. ალექსანდრე ბერომვი-[...]ლი (სტუ), 91 კგ ლევან მექ-[...]ვაბიშვილი (საქართველოს [...]სპორტის აკადემია), +91 მა-[...]მუკა ყიფიანი (თელავის პე-[...]დაგოგიური ინსტიტუტი).

**შალვა ბახტაძე.**

### ჩოგბურთი

## მარცხის მიუხედავად...

ჩვენმა მკითხველებმა იციან, რომ თბილისში, ლეილა მესხის სახელობის ჩოგბურთის აკადემიის კორტებზე გაიმართა დევისის თასის გათამაშების მატჩი ევრო-აზიის II ჯგუფის გუნდებს – საქართველოსა და სლოვენიას შორის. ცნობილია მისი შედეგიც – 2:3, მაგრამ, ვფიქრობთ, ამ დიდმა ასპარეზობამ, რომელიც პირველია ჩვენი დამოუკიდებელი ქვეყნის სპორტულ ისტორიაში, თავისი კვალი დატოვა. ამდენადაც საინტერესოა ჩოგბურთის სპეციალისტთა თვალსაზრისი, რომელიც მათ გამოთქვეს ჩვენს კორესპონდენტთან საუბარში უშუალოდ საქართველო-სლოვენიის ჩოგბურთელთა მატჩის დამთავრებისთანავე:

თეიმურაზ კაკულია: წაგება ყოველთვის გულსატკენია, მით უმეტეს, ამგვარ მატჩში, მაგრამ რას იზამ, როცა მეტოქე უკეთ არის მომზადებული. როგორც შევიტყვე, სლოვენიელებს ბოლო ერთთვიანი საწვრთნელი შეკრება გერმანიაში გაუვლიათ, რომ არაფერი ვთქვათ საერთაშორისო ტურნირებში მონაწილეობაზე. ჩვენებმა კი ეს უსახსრობის გამო მხოლოდ ორ ტურნირში იასპარეზეს. სექტემბრიდან აპრილამდე სავარჯიშოდ დღეში ხუთ კაცზე საშუალოდ ერთი ბურთი ჰქონდათ, ხოლო დარბაზში სავარჯიშოდ 5-6 საათის ნაცვლად საათნახევარი გამოუყვეს. გასათვალისწინებელია ისიც, რომ გაბრიჩიძემ და კაჭარავამ ორი-სამი წელია აქტიურ სპორტს თავი დაანებეს, ამიტომ რაც მათ გააკეთეს, გმირობის ტოლფასია. ვეტერანმა ჩოგბურთელებმა ახალგაზრდებს ბრძოლის ჟინისა და შემართების მაგალითი უჩვენეს. ამ დამარცხებამ გული არ უნდა გაგვიტეხოს. იმედისმომცემი ახალგაზრდობა გვყავს. ოღონდ მათი დაოსტატებისათვის სახსრებია საჭირო. ერთობ მწირ მენიუზე მყოფი სპორტსმენი შორს ვერ წავა. ჩვენმა ბიზნესმენებმაც უნდა გაიმეტონ გარკვეული სახსრები.

ამ ოთხიოდე წლის წინათ ოლღა მოროზოვას ვესტუმრე ლონდონში, სადაც იგი ყმაწვილთა მწვრთნელად მუშაობს. ფირმა „როვერსს“ მისთვის 3 მილიონი დოლარი გადმოურიცხავს 10 საუკეთესო ჩოგბურთელი ბავშვის მოსამზადებლად. ჩვენებს ამდენი თანხა არც დაესიზმრებათ. აქვე მინდა დავძინო, რომ ქების ღირსნი არიან საქართველოს ჩოგბურთის ფედერაცია და ლეილა მესხის ჩოგბურთის აკადემია, რომლებმაც ამ დონის შეჯიბრების გასამართავად კორტიც ბრწყინვალედ მოამზადეს და სხვა ორგანიზაციულ მხარეებსაც შესანიშნავად გაართვეს თავი.

ემზარ ზენაიშვილი, საქართველოს ოლიმპიური კომიტეტის გენერალური მდივანი, ჩოგბურთის ეროვნული ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტი: წაგების მიუხედავად, დევისის თასზე მატჩის თბილისში ჩატარებამ ყოველმხრივ გაამართლა იმედი. უპირველეს ყოვლისა, ეს იყო ზეიმი ნამდვილი ჩოგბურთის ხილვას მოწყურებულ გულშემატკივართათვის, განსაკუთრებით კი ჩოგბურთელი ბავშვებისათვის. საერთაშორისო მატჩების გამართვის გამოცდილებაც შევიძინეთ: ამ ასპარეზობისთვის მოსკოვიდან სპეციალურად მოვიწვიეთ ჩოგბურთის შესანიშნავი სპეციალისტი ადოლფ ანგელევიჩი. იგი ერთი კვირის განმავლობაშიატარებდა თეორიულ და პრაქტიკულ მეცადინეობებს. მომზადდა 21 ხაზის მსაჯი და 18 ბოლ-ბოისი, რომლებმაც დაკისრებულ მოვალეობას კარგად გაართვეს თავი. რადგანაც არ გვყავდა სათანადო წოდების მქონე კოშკურის მსაჯები, იძულებული გავხდით, ისინი რუსეთიდან ჩამოგვეყვანა. უახლოეს სანში ამ ხარვეზის გამოსწორებაც მოგვიწევს. გაკეთდა ერთი დიდი საქმეც – კეთილმოეწყო ჩოგბურთის კორტი, სადაც საერთაშორისო ტურნირის გამართვა შეიძლება. სწორედ აქ ვუმასპინძლებთ ნორვეგია-ნიგერიის წყვილში დამარცხებულს II ჯგუფში ადგილის შესანარჩუნებლად. ზაფხულში ლეილა მესხის აკადემიის ინიციატივით აქვე გაიმართება საერთაშორისო სატელიტური ტურნირი გოგონათა შორის 10 ათასი დოლარის საპრიზო ფონდით. მინდა ვისარგებლო შემთხვევით და მადლობა ვუთხრა ფირმებს – „პეინიკერს“, „კოკა-კოლას“, „ლაგუნავერეს“, სამედიცინო სამსახურს „კურაციო-არდს“, „აბსოლუტურ ბანკს“, ქალაქისა და რაიონის სამართალდამცავ ორგანოებს, ჩუღურეთის რაიონის გამგეობას, რომლებმაც ყოველმხრივ შეგვიწყვეს ხელი ამ მატჩის მაღალ დონეზე ჩატარებაში.





საქართველო-სლოვენიის მატჩის კომისარი გახლდათ დანიის ჩოგბურთელთა ასოციაციის განვითარების პროგრამის დირექტორი, 59 წლის კარლ ედვარდ ჰედელუნდი, რომელიც 16 წლის განმავლობაში დანიის ეროვნული ნაკრების წევრი იყო, 1982 წლიდან კი საერთაშორისო ტურნირებს ემსახურება როგორც მსაჯი. შეჯიბრების დამთავრების შემდეგ ვესაუბრეთ ბატონ ჰედელუნდს:

– ქართველ ჩოგბურთელებზე ჩემი ახალგაზრდობისას ბევრი მსმენია. მინახავს ალექსანდრე მეტრეველის თამაში. მან და თომას ლეიუსმა კოპენჰაგენში დანიის გუნდს მოუგეს დევისის თასზე. მაშინ ნაკრების წევრი ვიყავი, ოღონდ მესამე ნომრად და არ მითამაშია. რაც შეეხება საქართველო-სლოვენიის მატჩს, უპირველესად მინდა აღვნიშნო შეჯიბრების ჩინებული ორგანიზაცია. დამოუკიდებლობის შემდეგ თქვენთვის ასეთი რანგის ასპარეზობა პირველი იყო, მაგრამ სულაც არ იგრძნობოდა, რომ ეს დებიუტი გახლდათ: კორტი შესანიშნავი იყო, ხაზის მსაჯები და ბოლ-ბოისები (ბურთის მიმწოდებელი ბავშვები) კი ისე ირჯებოდნენ, თითქოს მთელი ცხოვრება ამის მეტი არაფერი ეკეთებინოთ.

კარგი შთაბეჭდილება დატოვეს ქართველმა ჩოგბურთელებმაც. მართალია, არც ერთ მათგანს პროფესიული რეიტინგი არა აქვს, მაგრამ მედგარი წინააღმდეგობა გაუწიეს გამოცდილ მეტოქეს. უფრო მეტიც, ძალიან მომეწონა გაბრიჩიძე, რომელსაც, თურმე, ორი წელიწადია ტურნირებში არ უასპარეზია, მაგრამ მაინც მოიგო ორივე შეხვედრა, თანაც მოედანზე იმპროვიზებული მოძრაობებით მოგვესიბლა.

ვნახე თქვენი ნორჩი ჩოგბურთელების თამაშიც, ჩინებული ახალგაზრდა თაობა გყავთ, ნიჭიერები, ოღონდ მათ დიდ ტურნირებში ხშირად უნდა იასპარეზონ და საერთაშორისო სარბიელზეც იტყვიან თავიანთ სიტყვას.

ესაუბრა

**ვაჟა დანელია.**

P.S საქართველო-სლოვენიის ჩოგბურთელთა მატჩმა დიდი ინტერესი გამოიწვია, რასაც მოწმობს მაყურებლით სავსე ტრიბუნები. აქ ნახავდით ბევრ ცნობილ სპორტსმენს, ხელოვანს თუ პოლიტიკოსს, რომლებსაც აერთიანებს დიდი ჩოგბურთის სიყვარული.

ფოტოებზე თქვენ ხედავთ ამერიკის შეერთებული შტატებისა და საფრანგეთის ელჩებს საქართველოში შვილებთან ერთად, რომლებიც ამ შეხვედრას ესწრებოდნენ, აგრეთვე, მატჩის კომისარს დანიელ კარლ ედვარდ ჰედელუნდს.

ალექსანდრე კოტორაშვილისა და ავტორის ფოტოები.

### ფეხბურთი

## დოდო - ახალი გოლეადორი

თავის ძველ ტრადიციულ თამაშის აგრესიულ მანერას უახლოვდება სან-პაულუსა და მსოფლიო პოპულარული გუნდი, საკონტინენტთაშორისო თასის ორგზის მფლობელი „სან-პაულუ“, რომელსაც ერთ დროს ცნობილი ტელე სანტანა წვრთნიდა. სწორედ მისი ხელმძღვანელობით დავაჟკაცდა ბრაზილიის ნაკრების ახლანდელი ნახევარმცველი ჟუნინიო, რომელმაც გასულ კვირას შავი დღე აყარა ინგლისის ჩემპიონატის ლიდერს „მანჩესტერ იუნაიტედს“. ბრაზილიელი ვარსკვლავი ინგლისის „მილდსბროში“ გამოდის. „სან-პაულუს“ მთავარ სნაიპერად მიიჩნევენ 19 წლის ბრწყინვალე თავდამსხმელს დოდოს, რომელმაც „ქუვენტუდთან“ და „ამერიკასთან“ ორჯერ შეასრულა „ჰეთ-თრიკი“, ხოლო უკანასკნელ მატჩში გათამაშების ლიდერთან „პალმეირასთან“ მხოლოდ 2 გოლის გატანა შეძლო, როცა მისმა გუნდმა 4:2 სძლია პირველ ადგილზე მყოფ „პალმეირასს“. უძლიერეს ოთხეულში გასვლისთვის იბრძვიან (პირველ ჯგუფში) „პალმეირასი“ – 42 ქულა, „პორტუგეზა“-39, „სანტოსი“ – 37. მეორე ჯგუფიდან კი პრეტენზიას აცხადებენ: – „კორინტიანსი“ – 41, „სან-პაულუ“ – 36 და „უნიაო“ (სან-პაულუ) – 27.

**შალვა ქარუმიძე.**

## მომსახურება

# 005 - სარკმელი ბიზნესში

ჩვენს საუკუნეს, ბირთვულის გარდა, ინფორმაციის საუკუნესაც უწოდებენ. დღეს მრავალფეროვანი ინფორმაციის უქონლად ნაბიჯსაც ვერ გადადგამს ვერც სახელმწიფო და ვერც პიროვნება.

ინფორმაცია ფასდაუდებელი კაპიტალია. იგი განსაკუთრებით ბიზნესისა და ბიზნესმენებისათვისაა აუცილებელი. საიმედო და ოპერატიული ინფორმაცია ბიზნესმენს საშუალებას აძლევს სრულყოს და განავითაროს თავისი საქმიანობა, გააუმჯობესოს მომხმარებელთან ურთიერთობა.

საქმიანი ადამიანისათვის საკმარისი არ არის მარტოოდენ ინფორმაციის შეგროვება, აუცილებელია, ინფორმაცია მივიდეს იმ პირამდე, ვისაც სჭირდება და სწორედ მაშინ, როცა მასზე მოთხოვნილებაა.

ცნობილია, რომ განვითარებულ ქვეყნებში, სპეციალიზებულ საიდუმლოებათა ბირჟებიც კი არსებობს, სადაც მოპარული ტექნიკური და ეკონომიკური ხასიათის ინფორმაციის ყიდვა-გაყიდვა ხდება.

საქართველოში 1994 წლამდე არ არსებობდა არათუ საიდუმლო ინფორმაციის ბირჟა, ან ბანკი, არამედ სრულყოფილი საინფორმაციო სამსახურიც კი, სადაც ნებისმიერი მოქალაქე შეძლებდა მისთვის საინტერესო ინფორმაცია მიეღო, გარდა 09 სატელეფონო საცნობარო, ან სამისამართო ბიუროსი.

არ შეიძლება იმის დაუნახაობა, რომ დღეს საქართველოში ბევრი რამ იქმნება, რამაც ქვეყანას და ხალხს სიკეთე მოუტანა. ერთ-ერთ ასეთ სიახლეს წარმოადგენს არასამთავრობო ორგანიზაციის – საინფორმაციო ბანკ 005-ის შექმნა.

საინფორმაციო ბანკს - 005-ს შეუძლია საზოგადოებას მიაწოდოს ინფორმაცია როგორც საქართველოში, ასევე მის საზღვრებს გარეთ არსებული ფირმების, ორგანიზაციებისა და საქმიანი ადამიანების სავალუტო და საფონდო, სადეპოზიტო და საკრედიტო ბაზრების შესახებ. ამავე ფირმის დახმარებით, მსურველს შეუძლია გაეცნოს საბანკო და საგადასახადო, ეკონომიკურსა და საბაჟო კანონმდებლობას, დადოს კონტრაქტები თბილისიდან გაუსვლელად მსოფლიოს ნებისმიერ წერტილში... აგრეთვე შეასრულოს ნებისმიერი საყოფაცხოვრებო მომსახურება – ტაქსის გამოძახება, აუდიო და ვიდეოტექნიკის, ელექტრომოწყობილობის რემონტი, გაზის მიტანა ბინაზე და სხვა.

საინფორმაციო ბანკი – 005 სულ ცოტა ხანია შეიქმნა და უკვე ბევრი სიკეთე მოუტანა აბონენტებს. ამ ფირმის იდეისა და მისი ხორცშესხმის ავტორები არიან გია ქევხიშვილი და ბექა ბოხუა, რომლებმაც დიდი შრომა გასწიეს საქართველოში პირველი ასეთი ბანკის შესაქმნელად.

როგორც ინფორმაციული ბანკის გენერალურმა დირექტორმა გია ქევხიშვილმა აღნიშნა, საინფორმაციო-ანალიზური ცენტრის ახალგაზრდა ხელმძღვანელობა ძალ-ღონეს არ დაიშურებს, რათა საქმიანი ინფორმაცია საჭირო დროს მიიღონ ქართველმა ბიზნესმენებმა.

ეს კი, ეჭვგარეშეა, წაადგება როგორც საქართველოს ეკონომიკის წინსვლა-განვითარებას, ასევე თითოეული ჩვენთაგანის მატერიალურ კეთილდღეობას.

ლელა დონაძე.

## ღიმილის დოზა



მეხვედრა პატიმართან: – მე ბედოვლათო, უკეთესი ნომერი ვერ იშოვე?

„ნოიე ცაიტუნგი“ ავსტრია.

* * *

– ვის ელაპარაკებოდი, თიკო, გუშინ, შუაღამისას?
– ჩემ ძმას.
– რა ჰქვია?
– თქვა, ვაჟა მქვიაო.

* * *

– ორი კურდღლის დაჭერას ვაპირებ – ამბობს თამრო.
– ეს როგორ?
– უნდა გავყვე მდიდარს... სიყვარულით.

# კროსვორდი



თარაზულად: 5. წანამატი საქონლის ფასზე, თუ საქონლის ხარისხი ხელშეკრულებით დადგენილზე მაღალი აღმოჩნდება. 8. გეომეტრიული სხეული. 10. გადასაზიდი საქონელი. 12. ფრანგი კინოვარსკვლავი. 14. ფულისა და სხვ. გამოძალვა. 15. ფარული დაცინვა. 16. საქონლის, საწარმოს, ქვეყნის სახე. 17. ქიმიური ელემენტი. 20. ქაღალდის ფულის, ობლიგაციისა და სხვა ფასიანი ქაღალდების ნომინალური ღირებულება. 22. ტვირთის ან გემის მფლობელის მიერ დაზღვეული ქონების უფლებებზე უარის თქმა დამზღვევის სასარგებლოდ ამ უკანასკნელის მიერ დაზღვეულისთვის მთლიანი სადაზღვევო თანხის გადახდის ვალდებულების აღებით. 23. მაკლერი, შუამავალი ვაჭრობაში, სხვადასხვა გარიგებაში. 27. საქმიანობის მიმართულება, ხასიათი. 29. კავშირი, გაერთიანება. 31. ჩოგბურთის სათამაშო მოედანი. 33. საგანგებოდ დამუშავებული ტყავი, რომელიც ძველად საწერ მასალად იხმარებოდა. 35. მაღალი ხე. 36. ლ. დელიბის ოპერა. 37. პატარა მტაცებელი ცხოველი. 38. სპეციალური მოწყობილობა აზარტული თამაშისათვის. 39. საქმიანობის სფერო მრეწველობის, ინფრასტრუქტურისა და სხვა ობიექტების შექმნის საკითხების დამუშავებაში.

შვეულად: 1. ზოგიერთი კოეფიციენტის სახელწოდება ზუსტ მეცნიერებაში. 2. მანქანის, მოწყობილობის სატრანსპორტო საშუალების, საწარმოო დანიშნულების ნაგებობის გრძელვადიანი არენდა. 3. მრეწველობის რომელიმე დარგის მსხვილ მეწარმეთა გაერთიანება მოგების გადიდებისა და ბაზარზე ბატონობის უზრუნველყოფის მიზნით. 4. ზღვრული ნორმა. 6. რაიმე ნაკეთობის სანიმუშო ეგზემპლარი. 7. ადამიანთა ისტორიულად ჩამოყალიბებული დიდი თუ მცირე ჯგუფი, შეკავშირებული თავდაპირველი ტერიტორიის ენისა და კულტურის ერთობის საფუძველზე. 9. რისამე დაბეგვრის ან ანაზღაურების განაკვეთების ცხრილი, კრებული. 11. მეწარმეობრივი საქმიანობის გარეშე მიღებული რეგულარული შემოსავალი. 13. უნგრეთის ქალაქი. 18. შესაძლებლობა, მოხერხება, სიმარჯვე. 19. წმინდა გამარჯვების ილეთი ძიუდოში. 20. გადასახადის რაოდენობა, რომელიც წესდება თითოეულ დასაბეგრ ერთეულზე. 21. წნეხი. 24. გადასაგზავნი თამასუქი. 25. დროებით საცხოვრებელი სახელდახელო ნაგებობა. 26. სადმე განლაგებული ერთგვაროვანი დაწესებულებების, ორგანიზაციების ერთობლიობა. 28. ტერმინი საგარეო ვაჭრობაში, რომელიც აღნიშნავს საქონლის დატვირთვას და გაგზავნას გამყიდველის ხარჯით. 30. სხვადასხვა კითხვით ჩამოწერილი, გარკვეული ცნობების შესაგროვებელი ფურცელი. 31. არაოფიციალური მაკლერი, შუამავალი ბირჟაზე. 32. სხეულის თვისება– შეინარჩუნოს თავისი უძრაობის ან თანაბარი სწორხაზოვანი მოძრაობის მდგომარეობა, სანამ გარეშე ძალა არ გამოიყვანს ამ მდგომარეობიდან. 34. მთვარის, ცისა და მიწის ქალღმერთი, ქორწინებისა და დაბადების მფარველი რომაულ მითოლოგიაში. 35. ამხანაგი სამსახურის, პროფესიის, თანამდებობის მიხედვით.

შეადგინა

ციალა ამაშუკელმა.

### 4 მაისს გამოქვეყნებული კროსვორდის პასუხები:

თარაზულად: 1. კავალკადა. 5. პესეტა. 6. კულაკი. 8. დისნეი. 10. ბურიბუ. 12. ესკადრა. 15. ტირანია. 16. ვარიეტე. 17. ტროლოპი. 19. დამბაჩა. 24. პლატონი. 26. ალეგრი. 28. არპეჯო. 30. ელპიტე. 31. რაუნდი. 32. აპრობაცია.

შვეულად: 1. კასპე. 2. აგარაკი. 3. კოკარდა. 4. აკაჟუ. 5. პასი. 7. ილია. 8. დიქტატურა. 9. იერი. 10. ბაზა. 11. ესპერანტო. 13. შარლო. 14. ლიობი. 18. პაპი. 20. არია. 28. მალხერი. 22. კოპორტა. 23. შეთე. 25. შერი. 27 რუპია. 29. რენტა.

## განცხადება

ს/ს „სანტე“-ს („დერიტა“) დირექცია იწვევს ამავე საზოგადოების აქციონერებს მორიგ საერთო კრებაზე, რომელიც გაიმართება 1997 წლის 6 ივნისს, დღის 12 საათზე ქ. თბილისში, კახეთის გზატკეცილი, მე-10 კმ.

დღის წესრიგი

1) 1996 წლის წლიური ანგარიში:

ა) წლიური ანგარიშის წარმოდგენა გენ. დირექტორისა და მეთვალყურეთა საბჭოს ანგარიშთან ერთად.

2) გენ. დირექტორისა და მეთვალყურეთა საბჭოს ანგარიშის დამტკიცება.

3) 1997 წლისათვის აუდიტორის არჩევის შესახებ.

დღის წესრიგის საკითხების გამო დაწერილებითი ინფორმაციის მიღება აქციონერებს შეუძლიათ სააქციო საზოგადოების დირექციაში.

ტელ. 71-12-37, 71-63-13.

თბილისი, 1997 წლის 5 მაისი.

ს/ს „სანტე“-ს მეთვალყურეთა საბჭო.

ხვალ, 11 მაისს მაგნიტური დღეა, კრიზისული საათები – 16.00 – 17.00.

ნელი, რამაზ, ნანი, კობა, ნათელა, ქანა, ელეონორა, დავით, ვალერი, ნანი, ელენე იმედაშვილები, მიხო, მანანა მორჩილაძეები ოჯახებით იუწყებიან დეიდისა და მამიდის

ქეთევან იოსების ასულ იმედაშვილის

გარდაცვალებას. პანაშვიდი: 12 V, 5 ს. გამოსვენება: 13 V 4 ს. კოტე მესხის ქ. № 29 (მთაწმინდა).

მეუღლე ლუიზა ზურაშვილი, შვილი გიორგი ზამბახიძე, დები ნარგიზი, მაკა, ცოლისდები ლია, მარიკა და ნანა ოჯახებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

ზივი ვასილის ძე ზამბახიძე

პანაშვიდი 13, 14 V, 5 ს. გამოსვენება 15 V, 3 ს. ტიციან ტაბიძის ქ. № 43 (ვაკე).

შვილები ქეთევან, გია, შვილიშვილები შალვა, გიორგი ცხაკაიები, რძალი რუსუდან სირბილაძე, დები ვერიკო, ნუნუ, დისწულები, დეიდაშვილები, მძახალი ლონდა ლექავა ოჯახით, ახლო ნათესავები იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

ზინა სილიბისტროს ასული მარგალიტაძე-ცხაკაია.

პანაშვიდი 11, 12 V. 5 ს. გამოსვენება 13 V, 3 ს. კიევის ქ. № 1.

სამგლოვიარო მომსახურება პრესტიჟული სტილის ავტომანქანით (კატაფალკი). ფასი 100 ლარი. ტელ: 96-53-66, დარეკეთ ნებისმიერ დროს.

საქართველოს რესპუბლიკა
САКАРТВЕЛОС РЕСПУБЛИКА
SAKARTVELOS RESPUBLIKA
გამომცემელი - შპს „პრესა“

სარედაქციო კოლეგია: არმაზ სანებლიძე (მთავარი რედაქტორი), ვახტანგ აბაშიძე, ალეკო ასლანიშვილი, ნანული ბარათაშვილი, ანზორ ბასილაია, ზურამ გოგიაშვილი, დავით იაკობიძე, რუსუდან ლორთქიფანიძე, არჩილ მანჯგალაძე, ბონდო მძინარაშვილი, რუსლან რუსია, სპარტაკ ქობულია, ბადრი ხატიძე, ომარ ხუციშვილი.

ნომრის მორიგე რედაქტორი: ანზორ ბასილაია.

ინდექსი 66434

რედაქციის მისამართი: 380096, თბილისი, მ. კოსტავას ქ. №14. ტელ: 99-73-24.

სარეკლამო განყოფილება — ტელ: 93-28-13.